ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბერძნეთში ორი ქართველი დააკავეს



გვ.3



გვ.4

## ე.წ. ქოლ-ცენტრების საქმეზე 5 პირის მიმართ დევნა დაიწყო

სამშაბათი, 26 დეკემბერი, 2023 №254 (9290) ფასი: 80 თეთრი

# „გახარია ფარცხალაძესთან ერთად ფულს ათეთრებდა, ახლა ივანიშვილის თამაშს თამაშობს“



გვ.2

თამარ ჩარკვიანი: „ოპოზიცია უნდა მოვიდეს აზრზე! გაწმინდოს საკუთარი ძალები. ახლოს არ უნდა გაიკაროს ეს სიბინძურე“





გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „რა მნიშვნელობა აქვს, ვისით დააკომპლექტებს მმართველი პარტია ახალ საარჩევნო სიას?! დღევანდელი მოქმედი წევრები სხვა მოქმედი წევრებით ჩანაცვლდებიან“

# „პუტინი საქართველოსთან დამარცხდა. მას არავინ დაუთმობს ამ რეგიონს“

## ოკუპირებულ აფხაზეთში ბიჭვინთის აგარაკის თემა კვლავ წამოიწევს



გვ.3



გვ.2

## მამუკა გამყრელიძე: „ბალადა, რომ ხვალ „ქართული ოცნება“ დამთავრდება, რეალური არ არის“

## ირაკლი ღარიბაშვილი: „დღიდან ჩვენი თანამოქალაქეები და უცხოელი სტუმრები კვლავ იხილავენ ხახულის კარედის, ანჩისხატს, აწყურის ღვთისმშობლის ხატს“



გვ.4

## „მგლებთან ერთად დავდიოდი სანადიროდ“



გვ.5

## თსუ ზამთრის ჩემპიონია



გვ.7

## გიორგი კეკელიძის ხვიჩა კვარაცხელიაზე დაწერილი წიგნი იტალიაში წარადგინა




გვ.8

**2** „ნიკა როგორაა, ნიკა?“ — თეა წულუკიანი ნიკა გვარამიათი ინტერესდება

**3** სოციალურ ქსელში ცხოველზე სავარაუდო ძალადობის მძიმე კადრები გავრცელდა — დაწყებულია გამოძიება

**5** გაუფრთხილდით შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებს

**6** მომვლელმა ინვალიდს ფული მოპარა და საკუთარ ფუფუნებაში დახარჯა

# „გახარია ფარცხალაძესთან ერთად ფულს ათეთრებდა, ახლა ივანიშვილის თამაშს თამაშობს“

## თამარ ჩარკვიანი: „ოპოზიცია უნდა მოვიდეს აზრზე! გაწმინდოს საკუთარი ძალები. ახლოს არ უნდა გაიკაროს ეს სიბინძურე“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თამარ ჩარკვიანი პასუხობს.



***— ქალბატონო თამარ, ბოლო დღეებია აქტიურად საუბრობენ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემობრუნებაზე. ოპოზიციაში ფიქრობენ, რომ ასე სასწრაფოდ ჩანიშნული პოლიტსაბჭოს სხდომაც აქეთ მიანიშნებს. „ხალხის ძალა“ აცხადებს, ოპოზიციამ დიდი აჟიოტაჟი ატეხა, ეშინიათ ბიძინასიო. რამდენად უშველის „ოცნებას“ ბიძინას შემობრუნება? პროცესების რა განვითარებას ელით?***

— „ქართულ ოცნებას“ ერთადერთი რაც შველის, ეს არის ძველი პოლიტიკანების გაცოცხლება ოპოზიციურ სპექტრში. ზუსტად ასე იყო მაშინაც, როდესაც „ძალა ერთობამ“ პრაქტიკულად გამარჯვება დავდეთ საპრეზიდენტო არჩევნებში და ახლაც ასე ხდება. მაშინაც დიდი ბრძოლა დაუწყეს „ძალა ერთობას“, პროცესი გადაიტანეს სხვაგან და პროცესს დაარტყა ბოკერიამ. ველზე შემოიყვანეს რუსული ვექტორის ბურჯანაძე. ჩვენ გვითხრეს, რომ მხოლოდ პროპორციულზე სასაუბროდ შემოგვყავსო, ცოტა ხანში კი დაიწყო რეაბილიტაციის მცდელობა რუსული ვექტორის.

***— ამ ყველაფერს დღევანდელ სიტუაციასთან რა კავშირი აქვს?***

— გეტყვით რატომ დამჭირდა პარალელის გავლება. ბმას ვაკეთებ, ეს შემთხვევით არ მითქვამს. არც ხაზარაძის წამოწევა გეგონოთ შემთხვევითი, ისიც 90-იანი წლების მეანაბრეა, წამლები სახლში! ბურჯანაძეც 90-იანი წლების პოლიტიკანია. გამოცდილი პოლიტიკოსი ვარო, იმ დღეს აცხადებდა, მრავალი წელია, რომ თაღლითობს, ამას ეძახის გამოცდილებას?!

***— საით მიგყავთ საუბარი, რომ ივანიშვილსა და „ოცნებას“ სურთ, მათი წინა პლანზე წამოწევა?***

— სწორედ ასეა. იმისთვის, რომ ხალხმა ტოლობის ნიშანი დასვას და ყველაფერი ერთმანეთში აიზილოს, ამისთვის გამოიყვანეს ასპარეზზე ცუდ საქმეში გამოცდილი ძველი სახეები. ცდილობენ, სწორედ ესენი ამოატივტივონ ოპოზიციურ ფლანგზე, რომ მათ ფონზე ნაკლებ გარეწრად გამოჩნდეს ოლიგარქი. ეს არის რუსული გეგმა! მაშინ ბურჯანაძე „ჩაუდეს“ ოპოზიციას. კიდევ მოძებნიან ასეთს. ან ვინმე რუსეთის მოქალაქე იქნება, როგორიც გახარიაა. თქვენ რა, შემთხვევითი გგონიათ, 20 ივნისს, გავრილოვზე მებრძოლ პატრიოტებზე გახარიამ დათვის ტყვიები რომ გამოიყენა?! ეს კაცი დღეს შემოჰყავთ ოპოზიციაში.

***— ამ ყველაფერს ივანიშვილის თამაში შეიძლება დავარქვათ?***

— აუცილებლად! შეიძლება არა, სწორედ რომ ასეა. რა ვქნა, მეტი როგორ ავხსნა?!

***— თვითონ რამდენად შემობრუნდება პოლიტიკაში?***

— ამის დიდი შანსია, რომ შემობრუნდეს. მოვა და იცით რას გვეტყვის? ბურჯანაძესა და ხაზარაძეს აქვს უფლება იტლიკინოს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს და მე არაო?! მიხვდით, რას აკეთებენ? რატომ? სახეები არ არის განა ოპოზიციაში?! ახალი თაობა, ტვინით გატენილები! 150 ათასი კაცი რომ გავიდა ქვეყნიდან, იმიტომ, რომ 31%-იანი ბანკის ვალი ვერ გადაიხადეს, ასეთ კაცს ჰქვია ბანკირი? ფული 2%-ად რომ შემოაქვს და 31%-ად ხალხზე აპროცენტებს, ნახევარი საქართველო გახიზნულია ამათ გამო! პოლიტსაბჭოს შემადგენლობას გადავხედე მათსას და სიორიძე ჰყავს პოლიტსაბჭოში, გიორგი სიორიძე! ეს არის ივანიშვილის მიერ კარგად მოფიქრებული სქემა ოპოზიციის დისკრედიტაციისთვის! მომპარავი მეანაბრეები უნდა დავტოვოთ წარსულში. სირცხვილია, ხალხო, რა დროს ხაზარაძე და ბურჯანაძეა 21-ე საუკუნეში?! საერთოდ, კარგად ხომ ვართ?!

***— იქნება ივანიშვილი „ოცნების“ მაშველი რგოლი?***



— აუცილებლად იქნება! თუმცა, ივანიშვილზე მეტად, „ოცნების“ მაშველი რგოლი არის 90-იანი წლებიდან წამოსული გასვრილი პოლიტიკანების შეთავაზება ოპოზიციისთვის. სწორედ ეს არის „ოცნებისთვის“ მაშველი რგოლი.

***— გიორგი გახარია ახსენეთ და გასულ კვირას, გახარია და მისი გუნდი, აქტიურად მოითხოვდნენ, მიხეილ სააკაშვილის საპყრობილეში გადაყვანას. რატომ გახდა ახლა ეს ასეთი მნიშვნელოვანი?***

— ზუსტად იმიტომ, რომ გახარია თამაშობს, იუსტიციის მინისტრთან ერთად, ივანიშვილის თამაშს. ეს არის, მეტი არაფერი. გახარია, რომელიც ფარცხალაძესთან ერთად ფულის გათეთრების სქემას ამუშავებდა. შავი ფულის გათეთრებაზეა საუბარი. ამას ვთავაზობთ ოპოზიციიდან ხალხს? და ჩვენ გვინდა, რომ ხალხმა არჩევანი გააკეთოს?!

***— რამდენად აყვება ხელისუფლება გახარიას მოთხოვნას? დააბრუნებენ ციხეში სააკაშვილს?***

— მე ეჭვი მაქვს, რომ ახლა აუტკიებელ თავს არ აიტკივებს „ქართული ოცნება“. თუნდაც ამ კანდიდატის სტატუსიდან გამომდინარე. გახარია შემოაგდეს და ეს არის მიშას დაშინების მცდელობა. ამდენი რეკომენდაცია აქვთ ისედაც შესასრულებელი და არა მგონია, ჭკუათმყოფელმა ადამიანმა ეს გააკეთოს. ამას აბსოლუტურად ახალი ტალღა და ახალი აურზაური მოჰყვება. ნახეთ, ეს ვის გაახმოვანებინეს? ყოფილ რუსეთის მოქალაქეს. გავრილოვის ღამეზე რომ არ აგო პასუხი გახარიამ, იმიტომ ბედავს ამდენს!

***— თუ ოპოზიცია ვერ მიხვდა ივანიშვილის თამაშს, არ მოხდა გაერთიანება, მაშინ რა იქნება? დარჩება „ოცნება“ ხელისუფლებაში?***

— ჩვენი ამომრჩეველი გონიერია, ვერანაირ შუაშისტურ ხმებს ხაზარაძე ვერ წაილებს. თუ არადა, ნახავთ თქვენც.

***— გახარია?***

— ვერც გახარია. გახარიას თუ დაუწერს ივანიშვილი, ისე ვერაფერს იზამს. გახარიას აბსოლუტურად არანაირი პროცენტი არა აქვს. რომ აკეთებენ ბრტყელ-ბრტყელ განცხადებებს. მე რომ ვილაპარაკო და გავაკრიტიკო პროკურატურა, ამაში უცნაური არც არაფერია, მაგრამ ამაზე ნათია მეზვრიშვილმა როგორ უნდა ილაპარაკოს? ადეიშვილის პროკურორმა! ამ ყველაფრის დანახვის უნარი საქართველოს მოქალაქეებს აქვთ. აბსოლუტურად ყველას ლუსტრირებას მოვახდენ.

***— ახალი წლის მერე გამოიკვეთება, ვინ რას აპირებსო. რა მოლოდინი გაქვთ, იქნება გაერთიანებები?***

— წესით, უნდა იყოს. აზრზე უნდა მოვიდეს ნამდვილი ოპოზიცია და მიხვდეს, რაც ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ოცნების“ მაშველი რგოლი უკვე სახეზეა, 90-იანი წლებში გაცვეთილი, საქართველოს დამაქცევართა სახეები. აი, ვინ უშველის „ქართულ ოცნებას“. რომ აიზილება სურათი, მერე ვილაცა ფიქრობს, 90-იან დამაქცევარს, ისევ „ოცნება“ მირჩევნიაო. ცდილობენ, ცუდსა და უარეს შორის გააკეთებინონ ხალხს არჩევანი. კარგით, ივანიშვილი ამ ყველაფერს გვტენის და ჩვენ, რეალური ოპოზიცია, რას ვაკეთებთ?! რატომ ვტირაჟირებთ ამ სიბინძურეს?! რა უნდათ საქართველოს დამაქცევრებს ოპოზიციაში?! აი, რა არის „ოცნების“ მაშველი რგოლი.

***— რა უნდა გაკეთდეს?***

— ოპოზიცია უნდა მოვიდეს აზრზე! ოპოზიციამ უნდა გაწმინდოს საკუთარი ძალები. ნამდვილმა ოპოზიციამ ახლოს არ უნდა გაიკაროს ეს სიბინძურე.

# მამუკა გამყრელიძე: „ბალადა, რომ ხვალ „ქართული ოცნება“ დამთავრდება, რეალური არ არის“

— ხელისუფლება საკმაოდ ძლიერია. კომფორტულად და ძლიერად გრძნობს თავს წინასაარჩევნოდ – ოპოზიციის მთავარი მიზანი უნდა იყოს პოზიტიური დღის წესრიგის დამყარება, – ამის შესახებ პარტია „ევროპელი დემოკრატების“ გენერალურმა მდივანმა, მამუკა გამყრელიძემ განაცხადა.

მისი თქმით, ოპოზიციის დღის წესრიგი, რომ „ქართული ოცნება“ დასრულდება, რეალური არ არის.

— სამწუხაროდ, ოპოზიციაში დღის წესრიგი არის იგივე, რომ „ქართული ოცნება“ რუსული ძალაა, მტერია, მონაა და ა.შ. კვლავ გრძელდება შეურაცხყოფა. ასევე, ბალადა იმასთან დაკავშირებით, რომ ხვალ დამთავრდება „ქართული ოცნება“ ... ეს ასე არ არის. რეალურად, ხელისუფლება, საკმაოდ ძლიერია. კომფორტულად და ძლიერად გრძნობს თავს წინასაარჩევნოდ. ოპოზიციის მთავარი მიზანი უნდა იყოს პოზიტიური დღის წესრიგის დამყარება, – განაცხადა გამყრელიძემ.



მისივე მოსაზრებით, ხელისუფლების მისამართით „პრორუსის“ შეძახილი არ მუშაობას.

— მოსახლეობას არ უჩნდება ზიზღის გრძნობა, იმიტომ, რომ ხელისუფლება პრორუსია. ამას მე თუ ვიძახი, ჩემ მიმართ უფრო არის გაღიზიანება, ვიდრე ხელისუფლების მიმართ. ამას ოდესმე ხომ უნდა მიხვდე?! მოსახლეობა შენგან ელოდება ისეთ რამეს, რითაც მას ცხოვრება გაუუმჯობესდება. ეს უნდა მივაწოდოთ მოსახლეობას. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, – განაცხადა გამყრელიძემ.

ამასთან, გამყრელიძის თქმით, ხელისუფლების მიმართ, თუ საგნობრივი კრიტიკა არ იქნება, აზრი არ აქვს „იარლიყების დაკიდებას“.

„ქართული ოცნება“ არ იწებებს არანაირ იარლიყს, ეს გამოჩნდა. პირიქით, ოპოზიცია იწებებს ამ იარლიყებს. „ქართულმა ოცნებამ“ თქვა: „ომის პარტია“ და უცებ შეახოცეს ხელი ოპოზიციას. შესწავლა სჭირდება იმას, თუ რატომ მუშაობს ხელისუფლების იარლიყები და რატომ არ მუშაობს ოპოზიციის იარლიყები. ამას სერიოზული მუშაობა სჭირდება, – ალნიშნა გამყრელიძემ.

გარდა ამისა, გამყრელიძემ 2023 წელი შეაფასა და აღნიშნა, რომ საქართველოსთვის 2023 წლის მთავარი მოვლენა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხი იყო.

მისი თქმით, ევროკავშირის მხრიდან არა რეკომენდაციები, არამედ მოთხოვნები იქნება, მოთხოვნების არშესრულება კი საქართველოს დააზიანებს.

— შემდგომში რა იქნება, ესეც ძალიან საინტერესოა – წევრობამდე შემდგომი ნაბიჯი ეს არის დიალოგის გახსნა. 2030 წლისთვის უნდა მოხდეს ევროკავშირის გაფართოება. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია მალე მივიღოთ დიალოგის გახსნის საშუალება და 2030 წლამდე დრო გვექნება ევროკავშირში გაწევრიანებისთვის. არ ვიცი ამისთვის საქართველო რას გააკეთებს. ბოლო დროს, ვენეციის კომისიიდან მოვიდა გარკვეული შესწორებები და პასუხი ჩვენი ხელისუფლებისგან იყო ძალიან უხეში – „ყველაფერი გაკეთებული გვაქვს და უკეთესის გაკეთება აღარ შეიძლება“. სამწუხაროდ, ასეთი დამოკიდებულებაა ჩვენთან იმ რეკომენდაციების მიმართ, რა რეკომენდაციებიც კეთდება დასავლეთის მხრიდან. ახლა უკვე რეკომენდაციები კი არ იქნება ევროკავშირის მხრიდან, არამედ მოთხოვნები. მოთხოვნების არშესრულება კი მართლა დაგვაზიანებს, – განაცხადა გამყრელიძემ

# „ნიკა როგორაა, ნიკა?“ — თეა წულუკიანი ნიკა გვარამიათი ინტერესდება

რა ბედი ელის გელათს, რას აკეთებს ხელისუფლება ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლისა და უნიკალური ფრესკების გადასარჩენად, როგორ აპირებს „ქართული ოცნება“ უშველოს ჩვენს ისტორიას – ჟურნალისტის მიერ დასმულ ამ შეკითხვებს კულტურის მინისტრი, თეა წულუკიანი, უპასუხოდ ტოვებს.

წულუკიანი, რომელიც დღეს, 25 დეკემბერს, ეროვნულ მუზეუმში ქრისტიანული საგანძურის დარბაზის გახსნას დაესწრო, არაფერს ამბობს, როგორ აპირებს მისი უწყება დაიცვას შუასაუკუნეების საქართველოს კულტურული საგანძური, რომელიც იუნესკოს მსოფლიოს მემკვიდრეობის ნუსხაშია და სადაც ვითარება უმძიმესია. თუმცა, წულუკიანი „მთავარი არხის“ დამფუძნებელს, ნიკა გვარამიას იხსენებს.

— ვერ ჩავეწერები... არა, ჩემო ძვირფასო, ნიკა როგორ არის, ნიკა... ესე იცის ქართულმა ციხემ, შედიან გამხდრები ნაციონალები და გამოდიან გაპუნტულებულები... მე სპონტანურად ვლაპარაკობ, ეს არის თქვენი პრობლემა, – ამობს წულუკიანი.

შეგახსენებთ, რომ უკვე მეოთხე ზამთარია, გელათი ისევ გადახურვის გარეშე დარჩენილი.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
ISSN 1987-9385
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ფინანსთა სამსახური – კლარა ბალაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სამართალი

## სოციალურ ქსელში ცხოველზე სავარაუდო ძალადობის მძიმე კადრები გავრცელდა — დაწყებულია გამოძიება

24 დეკემბერს, გვიან ღამით, მოქალაქემ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ვიდეო, რომელზეც ჩანს სავარაუდო ძალადობის მსხვერპლი მიუსაფარი ცხოველი. შემთხვევა ბაღდათში მოხდა.

ძაღლის მპოვნელმა ფეისბუქზე დახმარება ითხოვა, რის შემდეგაც, ძაღლი საოპერაციოდ თბილისში გადმოიყვანეს. ამბობენ, რომ ცხოველზე აშკარაა ძალადობის კვალი, რომელიც ბლაგვი საგნითაა მიყენებული. ასევე, სხეულზე აქვს ჭრილობები და ნატყვიარი.



მიუხედავად სამედიცინო რეაგირებისა, ძაღლის მდგომარეობა ამ დროისთვის მძიმეა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტზე დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის 259-ე მუხლით, რაც ცხოველის წამებას ან სასტიკ მოპყრობას გულისხმობს.

## საბერძნეთში ორი ქართველი დააკავეს

საბერძნეთში ქურდობისთვის 32 და 37 წლის ქართველები დააკავეს. საქმის მასალებით დადგინდა, რომ დაკავებულები 2019 წლიდან 2023 წლამდე, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მდიდრულ სახლებსა და ძვირადღირებულ მანქანებს ძარცვავდნენ.



ბერძნული მედიის ცნობით, მათზე საერთო ჯამში 9 დაკავების ორდერი იყო გაცემული.

— მათი დაკავებისთვის მოეწყო წარმატებული ოპერაცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ჰერაკლიონის უსაფრთხოების ქვედირექციის, ჰერაკლიონის პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტისა და ჰერაკლიონის სასწრაფო სამოქმედო დეპარტამენტის პოლიციელები. ორივე კაცი პარასკევს, 22 დეკემბერს მანქანაში დააფიქსირეს, გააჩერეს. კონტროლის დროს დადგინდა, რომ მათ თან ყალბი პასპორტები ჰქონდათ, — წერია პოლიციის განცხადებაში.

## პრეზიდენტმა 8 მსჯავრდებული შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა 8 მსჯავრდებული შეიწყალა, საიდანაც 6 მსჯავრდებული სრულად გათავისუფლდა პენიტენციურ დაწესებულებაში თავისუფლების აღკვე-



თის სახით დანიშნული სასჯელის შემდგომი მოხდისაგან და პენიტენციურ დაწესებულებას დღესვე დატოვებს, ხოლო 2 მსჯავრდებულს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად დარჩენილი სასჯელის ვადა შეუმცირდა, მათ შორის 1 ქალ მსჯავრდებულს, — ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

# „პუტინი საქართველოსთან დამარცხდა, მას არავინ დაუთმობს ამ რეგიონს"

## ლევან ალაფიშვილი: „რა მნიშვნელობა აქვს, ვისით დააკომპლექტებს მმართველი პარტია ახალ საარჩევნო სიას?! დღევანდელი მოქმედი წევრები სხვა მოქმედი წევრებით ჩანაცვლდებიან"

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***— ბატონო ლევან, წლის მიწურულს როგორ შეაფასებდით განვლილ პოლიტიკურ მოვლენებს, რას გამოყოფდით?***

— შიდა პოლიტიკურ პროცესებზე რამე განსაკუთრებულის თქმა არ შემიძლია, რადგან ასეთი მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ამდენად, რადგან სტაგნაცია ცუდია, კარგს ვერაფერს ვიტყვი.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, აქ უდავოდ უმნიშვნელოვანესი იყო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მონიჭება. ეს იყო არა ჩვენი ხელისუფლების დამსახურება, რადგან ისინი არც კი აპირებდნენ 2024 წლამდე განაცხადის გაკეთებას, ეს იყო ჩვენი დასავლელი სტრატეგიული პარტნიორების გამარჯვება რუსეთზე. ეს იყო სრულიად დასავლეთის, კონკრეტულად კი ევროკავშირის გამარჯვება პუტინის ზრახვებზე.

ევროკავშირმა საქართველოს ევროპულ გზას, ევროპულ არჩევანს უარი არ უთხრა და ეს ძალიან კარგი იყო. მე ვიტყოდი, ეს იყო განსაკუთრებული მოვლენა არა მხოლოდ ამ წლის, ალბათ, ასწლეულების მოვლენა.

რაც შეეხება ჩვენს ხელისუფლებას, მისი წვლილი სრულიად უმნიშვნელოა, როგორც გითხარით, მას არაფერი გაუკეთებია, რომ ეს შედეგი დამდგარიყო. ეს იყო თავიდან ბოლომდე ევროკავშირის გადაწყვეტილება.

რაც შეეხება ჩვენს საზოგადოებას, სურვილი ძალიან დიდი იყო, მაგრამ არასაკმარისი. მარტის აქციების დროს, მნიშვნელოვანი განაცხადის შემდეგ, სწრაფად დავილალეთ და სახლში წავედით. თუმცა, ეს იყო მნიშვნელოვანი განაცხადი და მზაობა, რომ ამ არჩევანს არ დავთმობდით არაფრის სანაცვლოდ. ამ განაცხადში განსაკუთრებული როლი აქვთ ახალგაზრდებს, ახალ თაობას, რომლებიც მზად არიან, ამ ქვეყნის ევროპული მომავალი დაიცვან.

საბოლოო ჯამში ეს მაინც იყო დიდი გეოპოლიტიკური გადალაგების მონაპოვარი. დასავლეთმა რუსეთს ამ რეგიონის დათმობაზე უარი უთხრა. პუტინი საქართველოსთან მიმართებით, ფართო გაგებით, დამარცხდა. მას არავინ დაუთმობს ამ რეგიონს. დანარჩენი კი ჩვენზე, ამ ქვეყნის მოქალაქეებზეა დამოკიდებული. რას იზამს ხელისუფლება, როგორ აპირებს იმ ცხრა პუნქტის შესრულებას, აპირებს კი საერთოდ? ეს ის საკითხებია, რომლის მონიტორინგიც თითოეულ ჩვენგანს ევალება.

***— როგორ ფიქრობთ, „ქართული ოცნება" სტატუსის მონიჭებას წინასაარჩევნოდ გამოიყენებს?***

— ვერ გამოიყენებს. ძალიან ცუდ დღეში არიან, რადგან თუ გამოიყენებენ და ამაზე ააგებენ საარჩევნო კამპანიას, მაშინ შეიძლება საკუთარი ამომრჩევლის დიდი უმრავლესობა დაკარგონ. საკუთარ ელექტორატს დააბნევენ. შეიძლება ეს საკითხებიც იყოს მათ შორის განხილული წლის ბოლო დღეს ჩანიშნულ პოლიტსაბჭოს სხდომაზე, გარდა იმისა, რომ შიდაპარტიული გადალაგება მოხდება. ალბათ, უკეთეს შემთხვევაში, იტყვიან — ჩვენ ეს შევძელით, როგორ არ უნდოდათ ევროკავშირში ვილაცებს, მაგრამ ჩვენ ეს მოვახერხეთ. სტატუსის მიღებას წინასაარჩევნო ლოზუნგად ვერ აქცევენ, მაშინ დააბნევენ „ალტინფოს", კიდევ ბევრს, ვინც მათ ბაზაზე არიან.

შეიძლება ეს არც ისე ცუდი იყოს, რადგან ძალიან კარგი შესაძლებლობა იქნება, რომ თეთრი და შავი ლიად გამოჩნდეს — ვინ არის პირდაპირ პრორუსი და დემოკრატიული იდეების ერთგული.

***— როგორ ფიქრობთ, „ოცნების" ბევრი წევრი ამ წელთან ერთად დაასრულებს პოლიტიკურ კარიერას? ახალი საარჩევნო სიის ფორმირებაზე გეკითხებით.***

— და ვინ დაიწყო პოლიტიკური კარიერა საკუთარი სახელითა და გვარით?! ყველას ხომ ერთი სახელი და გვარი აერთიანებს?! ისეთ პარტიულ სისტემაში, როდესაც ძალაუფლებას არის შეზრდილი ყველაფერი, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს სახელებსა და გვარებს, ინდივიდებს, პიროვნებებს. ერთ სახელს მეორე ჩაანაცვლებს. ასეთ სისტემაში ასეთი პრობლემა არ არსებობს. ისინი, უბრალოდ, როგორც სისხლისმწოველი წურბელები, ისე იქცევიან. ეს ასეა ნებისმიერ დროს, ნებისმიერ მმართველობაში, როდესაც დემოკრატიული სისტემა ტვირთად იქცევა და არა საშუალებად.

ასეთ პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე პაიკს ნებისმიერ დროს ჩაანაცვლებენ ოდნავ მაღალი ფიგურით, მაგრამ ის პოლიტიკურ ამინდს ვერ შეცვლის, გამორიცხულია. ამიტომ, რა მნიშვნელობა აქვს, ვისით დააკომპლექტებს მმართველი პარტია ახალ საარჩევნო სიას?! დღევანდელი მოქმედი წევრები სხვა მოქმედი წევრებით ჩანაცვლდებიან, ან შეიძლება არც ჩანაცვლდნენ. ვნახოთ, როგორი ამინდი იქნება საჭადრაკო დაფაზე.

# ოკუპირებულ აფხაზეთში ბიჭვინთის აგარაკის თემა კვლავ წამოიწევს

მარიამ მჭედლიშვილი

28 დეკემბერს ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტში კიდევ ერთხელ წამოიწევს ბიჭვინთის აგარაკის თემა. დეპუტატებმა უნდა გადაწყვიტონ, იძლევიან თუ არა თანხმობას იმ შეთანხმების რატიფიკაციაზე, რომელიც ეხება ბიჭვინთის აგარაკის რუსეთის მთავრობისთვის გადაცემას.

სიტუაცია დაძაბულია. აგარაკის რუსეთისთვის დათმობას ეწინააღმდეგება აფხაზების აბსოლუტური უმრავლესობა. მათ შორის, პოლიტიკოსები.

ოკუპირებულ აფხაზეთში, გარდა იმისა, რომ დაცული არ არის ადგილობრივი ქართველების (და არა მარტო მათი) უსაფრთხოება და სიცოცხლის უფლება, ნელ-ნელა მიმდინარეობს ანექსიის პროცესი.

იმას, რომ ოკუპანტი რუსეთი გეგმავს ოჩამჩირეში თავისი სამხედრო საზღვაო ბაზის შექმნას, აფხაზეთის საზოგადოება დუმილით (ზოგჯერ კმაყოფილებით) ხვდება. აფხაზების გააფთრება და რუსეთის კრიტიკა, როგორც წესი, უკავშირდება აფხაზეთში მდებარე რომელიმე ობიექტის (განსაკუთრებით, მიწის ნაკვეთების) რუსეთისთვის გასხვისების, რუსი ინვესტორების მიერ გრანდიოზული შენობების აგების, სტრატეგიული ინფრასტრუქტურის რუსების ხელში ჩაგდების განზრახვებს.

ბდღვინვის ერთ-ერთი საკითხია ბიჭვინთის ე.წ. სახელმწიფო აგარაკი. ეს თემა კიდევ ერთხელ გახდა ამაღელვებელი იმის გამო, რომ დე ფაქტო პრეზიდენტმა ბჟანიამ აფხაზეთის პარლამენტს (სახალხო კრებას) ამ აგარაკთან დაკავშირებული ე.წ. შეთანხმების პროექტი სარატიფიკაციოდ კიდევ ერთხელ წარუდგინა.

## რაში მდგომარეობს პროტესტი?

ამის გამო, ცოტა ხნის წინ, ოკუპირებულ რეგიონში გაიმართა რამდენიმე საპროტესტო შეკრება. მთავარი თავყრილობა მოეწყო ყოფილი დეპუტატის, სოკრატ ჯინჯოლიას ორგანიზებით. მასში მონაწილეობა მიიღო ყველამ, ვისაც აფხაზეთის ბედი აწუხებს. მათ შორის, მოქმედმა და ყოფილმა დეპუტატებმა, პარტიების წარმომადგენლებმა, სამოქალქო აქტივისტებმა და არააქტივისტებმა. მათ მოუწოდეს ბჟანიას, უკან წაიღოს თავისი „ანტისახელმწიფოებრივი, ანტიაფხაზური" ინიციატივა.

შეხვედრების მონაწილეები იყენებენ უკანონო ტერმინოლოგიას და აფხაზეთს „სახელმწიფოდ" მოიხსენიებენ.

**პოლიტოლოგი ასტამურ ტანია:**

— ეს საკითხი პრინციპულია, იმიტომ, რომ მას მოჰყვება სხვები. აფხაზეთისა და რუსეთის ინტერესშია, რომ ჩვენ ერთმანეთთან გვქონდეს გასაგები სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები და არა სქემა, რომლითაც აფხაზეთის საზოგადოების უმეტესი ნაწილი უფსკრულის პირას, საარსებო წყაროს გარეშე აღმოჩნდება.

**სოკრატ ჯინჯოლია:**

— ეს არის კლასიკა — ოლიგარქატი შეეზარდა ხელისუფლებასა და კრიმინალს. ჩვენი ამოცანაა, დღის წესრიგიდან ამოვიღოთ ბიჭვინთის შესახებ შეთანხმება და საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვა საკითხები და ვიპოვოთ მათი გადაწყვეტის გზები.

შეკრებილებმა დააყენეს პუტინისადმი მიმართვის მიამიტური იდეა და განაცხადეს, რომ პუტინმა არ იცის, თუ რა განწყობებია აფხაზეთის საზოგადოებაში.

## რა უძღოდა წინ ახლანდელ ვითარებას?

ბჟანიას წინა (შარშანდელი) მცდელობა, მიეღწია ბიჭვინთის აგარაკზე ხელმოწერილი ე.წ. შეთანხმების რატიფიკაციისთვის, ამაო აღმოჩნდა. აფხაზეთის პარლამენტმა ეს არ გააკეთა. დეპუტატებმა „დასახმარებლად" აფხაზეთის დე ფაქტო საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს. მათ ეგონათ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენდა ამ შე-



თანხმების კონსტიტუციასთან შეუსაბამობას. აფხაზეთის კანონმდებლობით, „ხალხის ქონების გასხვისება" დაუშვებელია. საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი ვერდიქტი არ გამოიტანა. ამის მიზეზი გახდა ის, რომ დეპუტატებმა არასწორი სარჩელი შეიტანეს. მათ არ გამოხატეს პოზიცია და არ წარმოადგინეს საკუთარი პოზიციის სამართლებრივი დასაბუთება.

მოგვიანებით, ხსენებული ხელმოწერილი, მაგრამ არარატიფიცირებული შეთანხმება შეისწავლა აფხაზეთის გენპროკურატურამ. მასში გამოვლინდა დარღვევები. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ შეთანხმებაში ჩაწერილი „ბიჭვინთის" სახელმწიფო აგარაკის გეოგრაფიული კოორდინატები ფაქტობრივს არ ემთხვევა.

ამჟამად ბჟანიამ დეპუტატები დახურულ კარს მიღმა დაარწმუნა, რომ შეცდომები გასწორებულია.

დაშვებულ შეცდომებზე პასუხისმგებლობა პროკურატურამ დააკისრა სახელმწიფო ქონების სამმართველოს, ასევე მიწათსარგებლობისა და კადასტრის სამმართველოს. ამის გამო არავინ დასჯილა, ვინაიდან შეთანხმება ძალაში არ შესულა.

ბიჭვინთის აგარაკზე შეთანხმებას ბჟანიამ და პუტინმა ხელი მოაწერეს 2022 წლის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# მთავრობის სხდომაზე 21 საკითხი განიხილეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის სხდომა გაიმართა.

მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 21 საკითხი განიხილეს.



სხდომაზე იმსჯელეს საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე – „ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“. დოკუმენტის შემუშავების პროცესს საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით კოორდინაციას უწევდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინსტიტუციური დემოკრატიის განმტკიცებას; სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებებით თანაბრად სარგებლობის უზრუნველყოფას; თანასწორობის პოლიტიკის განმტკიცებასა და ოკუპაციის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებზე ზრუნვას. აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცებით საქართველოს მთავრობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ვალდებულებისადმი ერთგულებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემური და გრძელვადიანი პოლიტიკის თანამიმდევრულად და უწყვეტად წარმართვას.

მთავრობის წევრებმა ასევე განიხილეს კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებით სერვისის მიმწოდებელი ყველა დაწესებულება ვალდებული იქნება, რეპროდუქციასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე ინფორმაცია ერთიან ეროვნულ რეესტრში ასახოს. ცვლილების მიზანი გამოყენებული ქსოვილების, უჯრედების, ემბრიონების, მათ შესახებ მონაცემებისა და კონტაქტში მყოფი მასალების მიკვლევადობაა.

დღეის მდგომარეობით, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებით სერვისს 19 დაწესებულება ახორციელებს. სიახლე ძალაში 2024 წლის იანვრიდან შედის. აღსანიშნავია, რომ რეპროდუქციასთან დაკავშირებული საქმიანობის ერთიანი ეროვნული რეესტრის ამოქმედება შეესაბამება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნებს.

სხდომაზე ასევე იმსჯელეს ქარის ორი და მზის ერთი ელექტროსადგურის განვითარებისა და ხელშეწყობის პროექტზე. ქარის ელექტროსადგურთა პროექტებიდან ერთი იმერეთის რეგიონში განხორციელდება, რომლის დადგმული, სავარაუდო სიმძლავრე 103,5 მეგავატია, გამომუშავება კი 362 მლნ კვტ საათს მიაღწევს. პროექტისთვის საჭირო ინვესტიციის რაოდენობა 130 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. რაც შეეხება ქარის მეორე ელექტროსადგურს, რომლის აშენებაც შიდა ქართლის რეგიონში, ქარელის მუნიციპალიტეტში იგეგმება, მისი დადგმული სიმძლავრე – 43,4 მგვტ, გამომუშავება – 148 მლნ კვტ.სთ, ხოლო ინვესტიციის რაოდენობა 25,25 მლნ აშშ დოლარია. გარდა ამისა, 4,797 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდება იმერეთის რეგიონში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში 7,8 მგვტ სიმძლავრის მზის ელექტროსადგურის ასაშენებლად, რომლის სავარაუდო გამომუშავებაც 10,295 მლნ კვტ სთ იქნება. ამ ეტაპზე სამივე პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლისა და კვლევების კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები მიმდინარეობს.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს და მხარი დაუჭირეს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა“ და „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებათა პროექტებს, რომელთა მიზანი ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდაა. აღნიშნული პროექტები თევზჭერის იარაღების რეგულირებას და დადგენილი წესების დარღვევისთვის შესაბამის პასუხისმგებლობებს განსაზღვრავს. ბრაკონიერობასთან ბრძოლა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე ადეკვატური სამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემის შემუშავება ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნების სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია.

გარდა ამისა, საუბარი შეეხო „გურიის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს, რომლის თანახმადაც, გურიის რეგიონში, ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ახალი დაცული ტერიტორია – გურიის ეროვნული პარკი – შეიქმნება, რომელიც 15.310 ჰა ფართობს მოიცავს. უნიკალური ბუნებრივი ძეგლების დაცვის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და ამავდროულად ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისთვის სახელმწიფო დაცული ტერიტორიების გაფართოების მიმართულებით აქტიურად მუშაობს.

ასევე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმებულთათვის უქმედ 2024 წლის 3 იანვრიდან 5 იანვრის ჩათვლით დღეები განისაზღვრა. შესაბამის დადგენილებას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ხელი უკვე მოაწერა.

ადმინისტრაციული ორგანო განსაზღვრავს მის დაქვემდებარებაში მყოფ/მის სისტემაში შემავალ სამსახურებს/მოსამსახურეებს, რომელთა მიმართაც არ გავრცელდება ეს დადგენილება თუ მათი ფუნქციების შესრულება სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისა და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას.

დადგენილება არ ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული პირების წინაშე შესასრულებელ ფინანსურ ვალდებულებებზე, ასევე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობაზე.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „დღეიდან ჩვენი თანამოქალაქეები და უცხოელი სტუმრები კვლავ იხილავენ ხახულის კარედის, ანჩისხატს, აწყურის ღვთისმშობლის ხატს“

– დღეიდან ჩვენი თანამოქალაქეები და უცხოელი სტუმრები კვლავ იხილავენ ისეთ შედევრებს, როგორებიცაა ხახულის კარედი, ანჩისხატი, აწყურის ღვთისმშობლის ხატი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ქრისტიანული საგანძურის დარბაზის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, შუა საუკუნეების ქართველი ოსტატების მიერ მოწინავე ტექნოლოგიებითა და ცოდნით, უზადო გემოვნებით შექმნილი ქრისტიანული საგანძური ასწლეულების განმავლობაში იქმნებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

– დღეიდან ჩვენი თანამოქალაქეები და უცხოელი სტუმრები კვლავ იხილავენ ისეთ შედევრებს, როგორებიცაა ხახულის კარედი, ანჩისხატი, აწყურის ღვთისმშობლის ხატი.

შუა საუკუნეების ქართველი ოსტატების მიერ მოწინავე ტექნოლოგიებითა და ცოდნით, უზადო გემოვნებით შექმნილი ქრისტიანული საგანძური ასწლეულების განმავლობაში იქმნებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ეს შედევრები ადასტურებენ საქართველოში ქრისტიანული ხელოვნების ტრადიციების უწყვეტობასა და კავშირს ანტიკურ ტრადიციებთან. სწორედ ჩვენი ქვეყნის მჭიდრო კონტაქტებმა ანტიკურ სამყაროსთან მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის ადგილი ქრისტიანულ სამყაროში და ევროპული განვითარების გზა.

შუა საუკუნეების საქართველოს, მნიშვნელოვანი სტრატეგიული ქვეყნის, ისტორია აისახა მის ხელოვნებაში, რომელიც საკაცობრიო ტენდენციებთან ერთად თვითმყოფად ეროვნულ ტრადიციებს ინარჩუნებს.



საგანძურში წარმოდგენილ ხელოვნების თითოეულ ნიმუშს საკუთარი ისტორია აქვს. საუკუნეების განმავლობაში ისინი ეკლესია-მონასტრებში ინახებოდა, მოგვიანებით კი, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში, მუზეუმებში იქნა გადატანილი. ქართველმა მეცნიერებმა კომუნისტური რეჟიმის პირობებშიც შეძლეს თავიანთი უანგარო შრომისა და, ხშირად, თავგანწირვის შედეგად ამ უნიკალური განძის, ეროვნული სიამაყის გადარჩენა და მომავალი თაობებისთვის შენარჩუნება, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, საგანძურის კვლევა და დაცვა, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ისეთ გამოჩენილ მეცნიერებთან, როგორებიც იყვნენ წმინდა ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, შალვა ამირანაშვილი და სხვანი. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი. მოგეხსენებათ კარგად, რომ მან 25 წლის განმავლობაში ემიგრაციის ურთულეს პირობებში უპატრონა ჩვენი ქვეყნის ამ საგანძურს. ამ უდიდესი ღვაწლის გამო, მოგეხსენებათ, რომ ჩვენმა დედაეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა და წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი უწოდა.

გავიმეორებ, რომ დღევანდელი ღონისძიება, როგორც უკვე მოგვახსენა მუზეუმის დირექტორმა, ეძღვნება ჩვენი ძვირფასი პატრიარქის აღსაყდრებიდან 46 და დაბადებიდან 90 წლის იუბილეს. საყოველთაოდაა ცნობილი მისი უწმინდესობის განსაკუთრებული დამოკიდებულება წარსულისა და ცოდნისადმი.

– მე მინდა მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც საკუთარი წვლილი შეიტანა ოქროს ფონდის საცავების განახლებაში, მუზეუმის დირექტორს, ბატონ დავით ლორთქიფანიძეს, ბატონ ნიკას, მეუფე ვახტანგს, მამა კირიონს, ჩვენს ეკლესიას, საპატრიარქოს, ქალბატონ თეას და ყველას, მე არ მინდა ვინმე გამომრჩეს, ვინც ამ ძალიან მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებაში შეიტანა წვლილი. კიდევ ერთხელ ვულოცავ საზოგადოებას ამ მნიშვნელოვან მოვლენას, ქრისტიანული ხელოვნების დარბაზის გახსნას, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

# ოკუპირებულ აფხაზეთში ბიჭვინთის აგარაკის თემა კვლავ წამოიწევს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

იანვარში. მანამდე (საბჭოთა პერიოდის შემდეგ) რუსეთის მაღალჩინოსნები აგარაკით სარგებლობდნენ იჯარის საფუძველზე. კერძოდ, 1995 წელს აფხაზეთის ხელისუფლებასა და რუსეთის დაცვის მთავარ სამმართველოს შორის დადებული შეთანხმებით.

აფხაზეთის საზოგადოებას არაფერი აქვს იმის საწინააღმდეგო, თუ ხალხის ქონებით – ბიჭვინთის აგარაკით ვინმე იჯარის შესაბამისად ისარგებლებს.

აფხაზებს აწუხებთ ამ აგარაკის (შენობასთან ერთად მიწის ნაკვეთისა და სანაპირო ზოლის) რუსეთის მთავრობის საკუთრებაში გადაცემა. მათი შფოთვის საგანია ასევე „აპარტამენტების“ მშენებლობის გეგმები და ზოგადად, რუსი ინვესტორებისთვის გადაჭარბებული უფლებების მიცემა აფხაზეთში.

# ე.წ. ქოლ-ცენტრების საქმეზე 5 პირის მიმართ დევნა დაიწყო

პროკურატურის განცხადებით, ევროჯასტთან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომპეტენტურ უწყებებთან ეფექტიანი საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის სამი ორგანიზატორის, ორგანიზებული ჯგუფის წევრისა და იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყეს.



უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა საქართველოში დაფუძნებული საწარმოების ბაზაზე მოაწყვეს ე.წ. ქოლ-ცენტრი, რომლის თანამშრომლები, წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, უკავშირდებოდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეებს, ეცნობოდნენ გამოგონილი სახელებით, მათი კომპანიის ადგილსამყოფელის შესახებ აწვდიდნენ ყალბ ინფორმაციას და სთავაზობდნენ ფასიანი ქაღალდების, აქციების, სასაქონლო აქტივების, ვალუტებისა და კრიპტოვალუტების ელექტრონულ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ შექმნილი ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით.

– ოპერატორები მომხმარებლებს არწმუნებდნენ, რომ მათი დახმარებით ფასების ზრდა-შემცირებაზე ელექტრონული ვაჭრობის შემთხვევაში, შეძლებდნენ სოლიდური მოგების მიღებას. რეალურად, დაზარალებულთა მიერ ელექტრონული ვაჭრობისთვის გამოყოფილ ფულად თანხებს თაღლითურად ეუფლებოდნენ.

უკანონოდ მოპოვებული თანხებისთვის კანონიერი სახის მისაცემად, დანაშაულებრივი ჯგუფის კონტროლის ქვეშ არსებულ საბანკო ანგარიშებზე მრავალჯერადი ფიქტიური ტრანზაქციების შედეგად, თანხის ჩართვა ხდებოდა ეკონომიკურ ბრუნვაში, სხვადასხვა, მათ შორის უძრავი ქონებების შეძენის მიზნობრიობით.

აღნიშნული სქემით ორგანიზებული ჯგუფის მიერ განხორციელდა თაღლითურად დაუფლებული ათეულობით მილიონი ლარის ოდენობის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, – წერია განცხადებაში.

ხუთივე ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე დაიწყო, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიების მიერ ყადაღა დაედო ბრალდებულების საკუთრებაში არსებულ რამდენიმე მილიონი ლარის ღირებულების უძრავ ქონებებს, რითაც მათ არ მიეცათ მისი შემდგომი განკარგვისა და გადამალვის შესაძლებლობა.

უწყება ამბობს, რომ დანაშაულის ორგანიზატორები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რეგენსბურგის რეგიონალური სასამართლოს მიერ კომერციული და ჯგუფური თაღლითობისთვის უკვე გასამართლდნენ.

პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მგლებთან ერთად დავდიოდი სანადიროდ“

**ბოლო პერიოდში სოფლის მოსახლეობაზე მგლების თავდასხმები გახშირდა. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ეს საკითხი ადგილზე შესასწავლია, თუმცა, სახელმწიფო ამისთვის ფინანსებს არ გამოჰყოფს. ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, იასონ ბადრიძეს 96 მგლის ლეკვი გამოუზრდია. იგი, როგორც ცხოველთა ქცევის ონთოგენეზის მკვლევარი, წლების მანძილზე კავკასიელებისთვის ამ ტოტემური ცხოველის ქცევის თავისებურებებს სწავლობდა.**

***– მგელი კავკასიელებისთვის წმინდა ცხოველად ითვლებოდა. ვახტანგ გორგასალსაც მუზარადზე მგელი ჰქონდა გამოსახული და ამის გამო სპარსელები გორგასლად ანუ მგლის თავად მოიხსენიებდნენ.***

– დიახ, სვანეთში ამ ტოტემური ცხოველის – მგლის სადიდებელი ჰიმნი არსებობდა. ჩეჩნურ ბაირაღზეც დღემდე მგელს გამოსახავენ. საქართველოს დასახელებაც ამ ცხოველს უკავშირდება: გურჯისტანი გორგისტანის სახეცვლილებაა, რაც ოდესღაც საქართველოს აღმნიშვნელი იყო აღმოსავლურ სამყაროში და მას მგლის ქვეყნად აღიქვამდნენ.

***– თავის დროზე საბჭოთა კავშირში მგლებს ანადგურებდნენ. ეთანხმებით, რომ ამანაც გამოიწვია მგლების გადაგვარება?***

– საბჭოთა კავშირში მგლის მოკვლა 50 მანეთით ჯილდოვდებოდა, მისი ლეკვის – 25-ით. ამით ბუნებაში ხელოვნური ჩარევა მოხდა. მგლების ინტენსიურმა ხოცვამ მგელ-ძაღლების გაჩენა გამოიწვია, რადგან თვისტომის გარეშე დარჩენილი მგელი ძაღლს ეჯვარებოდა. მგელ-ძაღლები კი დიდი ზიანის მომტანნი არიან, ისინი მშიშრები, გაუწონასწორებელნი, დაუნდობელნი არიან. იშვიათი გამონაკლისის გარდა, მგელი, თუ ის ცოფიანი ან ფსიქიკურად გაუწონასწორებელი არაა, ერიდება ადამიანს. ამის საწინააღმდეგოდ, მგელ-ძაღლები და გაველურებული ძაღლები ძალიან საშიშნი არიან.

***– რატომ ჩამოდიან მგლები სოფლებში სანადიროდ?***

– მგლების ოჯახებს შორის 2-3 კილომეტრის დაშორებით ნეიტრალური ზონებია გადაჭიმული, რათა მათ ერთმანეთთან კონფლიქტი აიცილონ. ამ ტერიტორიაზე ირმები ცხოვრობენ. ერთი მგლის მოკვლის შემდეგ მეზობელი მგლები გადაადგილდებიან, თანაც გზადაგზა ნეიტრალურ ტერიტორიაზე მყოფ ირმებს ნუკრებთან ერთად ანადგურებენ. ესაა ადამიანის ჩარევით გამოწვეული უბედურება. სწორედ მათი პროვოცირებით ხდება მგლების სოფლად მოვარდნა და შინაური ცხოველების დალუპვა. თორემ ნორმალურ პირობებში მგელი თავისმა მშობლებმა ველურ ცხოველებზე მონადირედ გაზარდეს და არა – შინაურებზე. გარდა ამისა, ბუნებაში ადამიანების ძალადობრივ ჩარევას კიდევ ერთი ბოროტება მოაქვს. მოკლულ მგელს რჩება ახალგაზრდა და მოხუცი მგლები. პატარებმა არ იციან ნადირობა, ბებრებს კი აღარ შეუძლიათ მსხვილი მსხვერპლის დაჭერა, ამიტომაც გამოდიან სოფლად და შინაურ ცხოველებზე ნადირობენ. რასაკვირველია, მგელი უნდა მოკლა, როცა ის სოფლად, ოჯახში შემოგივარდება, მაგრამ ტყეში რას გარბიხარ მის მოსაკლავად?

***– თქვენ ბორჯომის ხეობაში, მგლის ბუნაგის მახლობლად ექვსი თვის მანძილზე ცხოვრობდით. როგორ გარისკეთ?***

– მგლებზე დაკვირვების იმდენად დიდი სურვილი მქონდა, რომ ველური ცხოველების სიახლოვეს დავსახლდი. მათთან ერთად დავდიოდი სანადიროდ. როცა ინადირებდნენ და ხორცს მიეძალებოდნენ, შემდეგ გვერდზე გადგებოდნენ, რათა მივსულიყავი და ჩემთვის სასურველი ნაჭერი ჩამომეჭრა. ბოლოს ისევ ეცემოდნენ ხორცს და ლეკვებისთვის მიჰქონდათ.

***– როგორც ვიცი, მგლების შესაჩვევად ქსოვილის ნაჭრებს იყენებდით.***

– დიახ, სხეულზე ნაჭრებს ვიკრავდი, რათა ჯერ ჩემს სუნს მიჩვეოდნენ, შემდეგ ამ ქსოვილს ვტოვებდი, თანაც ზედ ხორცის ნაჭრებს ვდებდი. ორი თვის მანძილზე ჩემ მიერ მირთმეულ ხორცს არ ეკარებოდნენ. ბოლოს ჩვრები დაფლითეს, ხორციც დააგემოვნეს, ბოლოს კონტაქტი შედგა. ნაჭრებს რომ მიეჩვივნენ, მიხვდნენ, რომ ჩემი, ანუ ადამიანის, სუნი საჭმელთან ასოცირდებოდა. რაც ყველაზე მთავარი იყო, ჩასწვდნენ იმასაც, რომ სანამ მათთან ვიყავი, მათ ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა. ყველა გაფრთხილებული მყავდა, მგლის ბუნაგის მახლობლად არ გაევლოთ.

***– მართალია, რომ დათვისგან მგლებმა დაგიცვეს?***

– ჩემს დანახვაზე დათვი ყალყზე შედგა. ის მგლებმა გააგდეს. გარეშე მტრისგან ერთმანეთის დაცვის გრძნობა მათ არაჩვეულებრივად აქვთ განვითარებული, ამას ალტრუიზმი ჰქვია. შეუძლიათ თანამოძმის გამო რისკზე წავიდნენ. საკუთარ ახლობლად ჩამთვალეს, რადგან დიდი ხნის მანძილზე მათთან ვცხოვრობდი.

***– მართალია, რომ მგელს ყმუილისას ხმის 500-მდე ნაირსახეობის გამოცემა შეუძლია?***

– დიახ. ამ ბგერით კომუნიკაციებში სემანტიკური ფორმები არსებობს. ისინი განსხვავებულ ხმას გამოსცემენ ერთმანეთის მონატრებისას, ადგილსამყოფელის ერთმანეთში შესათანხმებლად, იმის გასაგებად, თუ სად დაუხვდნენ მსხვერპლს და ა.შ. მგლის ინდივიდებს შორის ხშირია უბრალო გადალაპარაკება დიდ მანძილზე ყმუილით.

***– ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების მიხედვით, მოხუცი მგელი, სახელად ტოტია, საკუთარმა თვისტომებმა დაგლიჯეს. ასეთი რამ მგლებში ხდება?***

– ვაჟასთან ეს უტრირებულია. ექვსი თვის მანძილზე ველურ მგლებთან ვცხოვრობდი და მოხუცი მგლის დაგლეჯვის ფაქტს არ შევსწრებივარ. პირიქით, ძალიან პატივისცემით ეპყრობოდნენ მას, მიჰქონდათ მისთვის საჭმელი. როცა სიკვდილი იგრძნო მოხუცმა მგელმა, გაეცალა თავისიანებს. უნდა გენახათ, როგორი ყმუილით მიაცილებდნენ, თავისებურად დაიტირეს კიდეც. კანიბალიზმი 7-8 თვემდე მგლის ლეკვებში არსებობს.

***– ამბობენ, მგლების გარეშე დარჩენილი ირმები ავადმყოფდებიან, რადგამ მგელი მათთვის ერთგვარი სანიტარია, რომელიც ავადმყოფ ცხოველებს ანადგურებსო.***

– შოტლანდიაში ირემს ვერ ნახავდით, რადგან მგლები გაწყვიტეს. ამის შემდეგ საშინელრქებიანი ირმები დაიბადნენ, რომლებიც დაავადდნენ, მათ დეგენერაცია აღენიშნებოდათ. მოძრაობაც უფრო მდორე ჰქონდათ. როცა ამბობენ, მგელი სანიტარია და მარტო ავადმყოფ ირმებს ეტანებაო, გადამეტებულია. შეიძლება ფიზიოლოგიურად ჯანმრთელსაც მიეტანოს. მგელი მას ანადგურებს, ვინც იმ კონკრეტულ სიტუაციაში არასწორად იმოქმედებს. ანუ არსებობს ტერმინი „ქცევითი არაკომპეტენტურობა“, როცა ცხოველი არასწორად მოქმედებს კონკრეტულ სიტუაციაში. ეს უკვე ფსიქიკის ამბავია და ამისთანებს ჭამენ, ანუ ბუნებაში მუდმივი სიფხიზლეა საჭირო, მსხვერპლის სახეობა ეჯიბრება მგელს ჭკუასა და მოხერხებულობაში.



***– ადამიანზე მგლის თავდასხმის შემთხვევები ხშირია?***

– ციმბირში მგლების ოჯახების ნაწილი ცხენ-ირემზე ნადირობაზეა ორიენტირებული, ზოგიერთი კი – ირემზე. იმის მიუხედავად, რომ ცხენ-ირემზე ნადირობა მისი დიდი ზომის გამო გაცილებით რთულია და ამის გამო მგლებში სიკვდილიანობის რიცხვი მაღალია, მგლები ცხოვრების ამ წესის შეცვლას არ ცდილობენ, რადგან ამ კონკრეტულ კვების ობიექტზე იზრდებიან ისინი. შიმშილით უნდა კვდებოდნენ, რომ იმის შეცვლა მოიწადინონ, რისი მოპოვებაც მათ მშობელმა ასწავლა. ამიტომაც თუგინდ დაუძლურებულ ადამიანს მგელი თავს არ ესხმის, მას განრიდების რეაქცია უმუშავდება, ის ადამიანებს გაცილებით სწრაფად ამჩნევს, ვიდრე ჩვენ მას დავინახავთ.

***– მაგრამ ბოლო შემთხვევაში ადამიანებზე მგლის თავდასხმებიც დაფიქსირდა.***

– ერთი კია, სპილოს მსგავსად, ზოგიერთმა ცხოველმა შურისძიება იცის. ამ მხრივ არც მგელია გამონაკლისი. თუ შვილს მოუკლავენ ან სხვა სახის ზიანს მიაყენებენ და ზუსტად დააფიქსირებს იმის სუნს, ვინც ეს ჩაიდინა, მის საქონელს მტრობს. როგორც წესი, ადამიანს თავს არ ესხმის. მაინცდამაინც შინაურ საქონელსაც არ ეტანება, რადგან ტყეში ნამდვილი მგლის მიერ გაზრდილი ლეკვი მიჩვეული არ არის შინაური ცხოველის ჭამას.

***– ხშირია მგლების მიერ ადამიანების გამოკვების ფაქტები?***

– მგელს მშობლის განსაკუთრებული ინსტინქტი აქვს. ახალგაზრდა მგლის ლეკვს, რომელსაც ლეკვები ჯერ არ ჰყოლია, კატის ან ძაღლის ნაშიერი რომ მიუსვა, იშვილებს. მაგრამ ერთხელ მაინც თუ გაზრდის მგლის ლეკვს, ძაღლის ლეკვსაც და კნუტსაც მოკლავს, რადგან დეტერმინირდება თავისი სახეობის ირგვლივ. მაუგლის გარდა, ბევრი შემთხვევაა აღწერილი, სადაც ვარაუდობენ, რომ მგლებმა გამოკვებეს ბავშვები. ძუ მგელი ორწლინახევრის ასაკში სქესობრივად მწიფდება, ხოლო ხვადი – 3 წლის ასაკში. არადა, ერთი წლის მგელსაც რომ მიუსვა ლეკვი, რამდენიმე დღეში რძე ჩაუდგება. ამას იმით ხსნიან, რომ დედა მგელს, რომელიც კიდევ ახალ ლეკვებს ყრის, თუ ხიფათი შეემთხვევა, ახალგაზრდა ძუ მგელი მის შთამომავლებს გადაარჩენს. ასეთივე რამ შეიმჩნევა ჯეირნებში. ჯეირანი ჯერ გამოკვებავს შვილს, შემდეგ საძოვარზე დიდი ხნით მიდის. ნებისმიერი ჯეირანი, რომელიც ჩაუვლის პატარას, აჭმევს თვისტომის შვილს. გადარჩენის ასეთი ინსტინქტი მძლავრობს ცხოველებში.

***– 96 მგლიდან 22 ტყეში გაუშვით. როგორ გადაირჩინეს თავი, ისინი ნამდვილ მშობლებს ხომ არ გაუზრდიათ?***

– 22 მგლის გამოზრდის საშუალება ველურ მგლებზე დაკვირვებამ გამიადვილა. ვაკვირდებოდი, როგორ ზრდიდნენ ნაშიერებს, რაც გამოვიყენე კიდეც ჩემს ცხოველებთან ურთიერთობაში. მათ ნადირობას ვასწავლიდი, თანაც იმ სახეობაზე, რაც აუცილებელია. თორემ შეიძლება რომელიღაც იშვიათი სახეობა გაენადგურებინათ. ამასთან, განრიდების რეაქციას ელექტროსტიმულატორის მეშვეობით ვუმუშავებდი. ამ ჩვევას მგლები 40 დღის განმავლობაში იმუშავებდნენ. იმ მგელს, რომელიც ყველაფერს აითვისებდა, სხვა ლეკვებს ვაზრდევინებდი. ისიც უკვე ბუნებრივი გზით ასწავლიდა პატარებს. სპეციფიკური ბგერებით – ქშენანარევი ყეფით გადასცემდა ცოდნას.

მგლებს შვიდამდე დათვლაც ეხერხებათ. ბუნებაში მარტო ერთი ნადირობის დროს მგელს 100 ექსტრაპოლაციური ამოცანის ამოხსნა სჭირდება, რაც მოძრაობის მიმართულებას გულისხმობს. თურმე საკუთარი მოქმედების შედეგის განჭვრეტაც შესანიშნავად შეუძლია. დავაკვირდი, გარემოში არსებულ რამდენ საგანზე გამოუდით ოპერირება. აღმოჩნდა, რომ შვიდის ფარგლებში ნებისმიერი კომბინაციის გადათვლა შეუძლიათ.

***– ხშირად გაიგონებთ, რომ საქართველოში წითელი მგლები შემოიყვანეს, რომლებმაც, იმის მიუხედავად, რომ საკვებად ბევრი ირემი არ სჭირდებოდათ, უამრავი მათგანი გაანადგურეს. არც შინაური საქონელი დაინდეს.***

– თავის დროზე წითელი მგლის შემოყვანას ამაოდ ახმიანებდნენ. ასეთი რამ ვინმეს რომ გაეკეთებინა, საკუთარი კოლეგები მოკვეთდნენ. მთელი პუბლიკაციები მიუძღვნეს ამ აბსურდს, წითელი მგლები გაუშვესო. სტატიებში ეწერა „მეწამული მგელი საქართველოში“. სინამდვილეში, ეს მგელი ტიბეტიდან ჩინეთამდე ბინადრობს, იშვიათი სახეობაა. აქ რომ გაეშვათ, ციხეში ჩასმა არ ასცდებოდათ. როგორ შეიძლება უცხო სახეობის შემოყვანა? სულ ამას ვებრძოდი. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი, მაშინ ალეუტური ციყვები შემოიყვანეს ციმბირიდან. ამის შედეგად მოისპო ქართული, კავკასიური ციყვი. ძლიერ დაეცა ფუღუროში მობუდარ ფრინველთა რიცხვიც, რადგან კარგ პირობებში ციყვები იმდენად გამრავლდნენ, ფუღუროები დაიკავეს. ამის წინააღმდეგ არაერთი წერილი დავწერე. ახლა კი მდგომარეობა დაბალანსდა. მგელი ძვირადღირებული სიამოვნებაა – თითოეული მათგანი მაშინ 60 ათასი დოლარი ღირდა. არაა გამორიცხული, ზოგიერთს წითელი მგელი გაველურებულ ძაღლშიც ერეოდეს, რადგან მესამემეოთხე თაობის ველური ძაღლები ჟღალი ფერისანი ხდებიან. ესენი კი გაიძახიან, გინდა თუ არა, წითელი მგელიაო.

**მედიცინა**

## გაუფრთხილდით შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებს

შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებია: ტვინის დანამატი ჰიპოფიზი, ფარისებრი ჯირკვალი, პარათირეოიდული ჯირკვლები, მკერდუკანა ჯირკვალი, ეპიფიზი, თირკმელზედა ჯირკვლები, პანკრეასი, სასქესო ჯირკვლები.

ორგანოებს შორის კავშირს ცენტრალური ნერვულ სისტემასთან ერთად უზრუნველყოფს ენდოკრინოლოგიური ჯირკვლებიც.



შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ოდნავ ცვლილებასაც ორგანიზმში მოჰყვება სერიოზული დარღვევები. დაავადების წარმოშობისას ერთი რომელიმე ჯირკვლის პათოლოგიის გამოკვლევა დაუშვებელია. შესწავლილი უნდა იყოს შინაგანი სეკრეციის სხვა ჯირკვლების მდგომარეობაც.

### ენდემური ჩიყვი

ენდემური ჩიყვი ორგანიზმში იოდის ნაკლებობით წარმოიშობა. მნიშვნელოვანია სხვა ელემენტებიც: სპილენძი, ტყვია, ბრომი, კობალტი და სხვა. ენდემური ჩიყვი ისეთ რაიონებში გვხვდება, სადაც წყალსა და საკვებ პროდუქტებში აღნიშნული ელემენტების ნაკლებობაა.

ენდემური ჩიყვი შეიძლება იყოს დიფუზიური და კვანძოვანი. დაავადების დასაწყისში ავადმყოფს მხოლოდ ფარისებრი ჯირკვალი აქვს გადიდებული და სხვა ჩივილები არ აღენიშნება. თუ ფარისებრი ჯირკვალი მნიშვნელოვნად გადიდდა, ის შეიძლება დააწვეს საყლაპავ მილს, ხორხს, ტრაქეას. ამ დროს გაძნებულია ყლაპვა, სუნთქვა და ა.შ. ენდემური ჩიყვი შეიძლება ჰიპერთირეოზით მიმდინარეობდეს, შეიძლება ფარისებრი ჯირკვლის ჰიპოფუნქციით. ენდემური ჩიყვის შემთხვევაში ავადმყოფს, სამკურნალო საშუალებებთან ერთად, პროფილაქტიკისთვის უნიშნავენ იოდიზირებული მარილის მიღებას.

### ბაზედოვის დაავადება

ბაზედოვის დაავადება დაკავშირებულია ფარისებრი ჯირკვლის დაზიანებასთან. დაავადება 1804 წელს ბაზედოვმა აღწერა. ამა თუ იმ ინფექციის შემდეგ შეიძლება ფარისებრი ჯირკვლის ფუნქცია მოიშალოს, რაც ხელს უწყობს ბაზედოვის დაავადების განვითარებას. მისი ხელშემწყობი პირობებია ფსიქო-ემოციური სტრესი, გადაძაბვა. ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერფუნქცია იწვევს ჭარბი რაოდენობით ჰორმონ თიროქსინის წარმოშობას, რასაც თირეოტოქსიკოზი დაერთვის და ვითარდება ბაზედოვის დაავადება.

დიაგნოზის დასმა ძალიან ადვილია, რადგან ავადმყოფს ძალიან დამახასიათებელი გამომეტყველება აქვს. ფარისებური ჯირკვალი გადიდებულია. ზოგჯერ ფარისებრი ჯირკვალი უმნიშვნელოდ არის გადიდებული, მაგრამ მისი ფუნქცია მნიშვნელოვნად დარღვეულია. ავადმყოფს თვალები აქვს გადმოკარკლული, თითქოს თვალი არ ეტევა თვალბუდეში. ზედა ქუთუთო მთლიანად ვერ ფარავს თვალს და სკლერა დაუფარავი რჩება. ავადმყოფს აქვს ტრემორი, კიდურების კანკალი. კანი მუდმივად სველია ძლიერი ოფლიანობის გამო. საკმარისია მცირე ემოციური გადაძაბვა, რომ ავადმყოფმა შეიძლება წონასწორობა დაკარგოს. აწუხებს გულის ფრიალი და ტაქიკარდია.

ბაზედოვის დაავადების დროს ნივთიერებათა ცვლა გაძლიერებულია, ავადმყოფები წონაში იკლებენ. დამახასიათებელია წნევის მატება. ფარისებრი ჯირკვლის გადიდება შეიძლება თვალითაც შესამჩნევი იყოს.

### მიქსედემა

მიქსედემა ფარისებრი ჯირკვლის ჰიპოფუნქციის შედეგად ვითარდება. მიქსელება ნიშნავს ლორწოვანას შეშუპებას.

ფარისებრი ჯირკვლის ჰიპოფუნქცია ნიშნავს ჯირკვლის გადაგვარებას. ეს შეიძლება იყოს როგორც თანდაყოლილი, ასევე შეძენილი. ჯირკვლის ჰიპოფუნქცია შეიძლება სხვადასხვა ინფექციამ გამოიწვიოს.

ამ დაავადებით ქალები 6-ჯერ უფრო ხშირად ავადდებიან.

ფარისებრი ჯირკვალი გამოიმუშავებს და გამოჰყოფს ჰორმონ თიროქსინს. მიქსელების დროს კი დაზიანებული ფარისებრი ჯირკვალი მცირე რაოდენობით გამოჰყოფს ჰორმონს, რასაც ჰიპოთირეოზი ეწოდება. თუ თიროქსინს სრულიად არ გამოჰყოფს, ამას ათირეოზი ეწოდება.

ავადმყოფს აღენიშნება სხეულის შეშუპება, განსაკუთრებით სახე შუპდება, რაც სხვა დაავადებისგან გამოწვეული შეშუპებისგან განსხვავდება. გასქელებულია ლორწოვანა, ენა მშრალია, ავადმყოფს ლაპარაკი უჭირს, კარგავს მადას, ხმა ჩახლეჩილია, მხედველობა და სმენა ქვეითდება. კანი მშრალია, რადგან საოფლე ჯირკვლები ატროფირებულია. ავადმყოფი მუდმივად მოწყენილია, შეიძლება საუბრის დროს ჩაეძინოს. ხშირად ზანტი და მცივანაა. მოსალოდნელია მეხსიერების დაქვეითება, ხშირია თავის ტკივილები, სხეულის ტემპერატურის დაქვეითება, მაჯა შენელებულია. ფარისებრი ჯირკვლის ნებისმიერი დაავადების დროს საჭიროა ჰორმონალური გამოკვლევა. დაუშვებელია ჰორმონალური წამლის თვითნებური მიღება ან ექიმის მიერ გამოწერილი პრეპარატის უცბად შეწყვეტა. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წამლის მიღების დროსაც კი.

## სროლა ფლორიდის შტატში



ფლორიდის შტატის ქალაქ ოკალაში ტრაგედია მოხდა. ადგილობრივი სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე უცნობმა პირმა ცეცხლი გახსნა. შედეგად დაიღუპა 1 და დაიჭრა 6 ადამიანი.

ოკალას პოლიციის უფროსმა მოსახლეობას მიმართა და მსროლელის დაკავებისათვის დახმარებისკენ მოუწოდა.

## აშშ შეშფოთებულია ნავალნის ბედით



აშშ შეშფოთებულია ნავალინის ბედით. ამის შესახებ სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა განაცხადა. უკვე მე-20 დღეა, რაც ნავალნი თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაუჩინარდა.

## დანაკარგები ოკუპანტების რიგებში



რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია:

ტანკები – 5.877; საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 10.919; არტილერია – 8.347; თვითმფრინავები – 329; განადგურებულია 353.950 ოკუპანტი.

დანაკარგებით შეძრწუნებულმა პუტინმა განაცხადა, რომ უკრაინაში ომის შეჩერება სურს.

რუსეთის პრეზიდენტის აზრით, ყირიმის, დონბასის, აგრეთვე ხერსონ-ზაპოროჟიეს ოლქების მოსახლეობამ რეფერენდუმზე თავისი ნება უკვე გამოხატა. ამიტომაც ეს ტერიტორია თურმე რუსეთს უნდა შეუერთდეს.

რუსეთის პრეზიდენტის აზრით, ყირიმი, დონბასი და ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქები იურუდიულად უკვე რუსეთია. მოსახლეობამ თავისი ნება, თურმე, უკვე დააფიქსირა რეფერენდუმზე და ამიტომ აგრესორი უკრაინაა.

## ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა დასავლეთის ქვეყნებს მიმართა



ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა გრანტ შეპსმა დასავლეთის ქვეყნებს მიმართა. მან განაცხადა, რომ თუ რუსეთი გაიმარჯვებს უკრაინაში, ევროპას ავტოკრატია დაემუქრება. მსგავსი მოწოდებით ევროკავშირის თავმჯდომარემ ბორელმაც მიმართა დასავლეთს. მან განაცხადა, რომ უკრაინისადმი დახმარების გაზრდა აუცილებელია.

## სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში შეტაკებებია

ეგზალტირებულმა ბრბომ ადმინისტრაციულ შენობებში შევარდნა სცადა. პოლიციამ გამოიყენა ცრემლსადენი გაზი და ხელკეტები. მანიფესტანტები დაშალეს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისინი კვლავ შეიკრიბნენ და პოლიციაზე შეტევა სცადეს.

სერბების პრეზიდენტმა ვუჩიჩმა მომხდარში დასავლეთი დაადანაშაულა. მან განაცხადა, რომ არეულობის უკან ევროპა და აშშ დგანან.

ვუჩიჩმა სასწრაფოდ უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვია.

## ბრძოლები ღაზაში



ღაზაში ბრძოლებია. ისრაელის არმიამ ოპერაციები განაახლა. პასუხად, ჰამასის ბოევიკებმა გააძლიერეს ისრაელელ ჯარისკაცებზე თავდასხმები. მხოლოდ გუშინ დაიღუპა 14 ისრაელელი ჯარისკაცი. ამის თაობაზე იუწყება ისრაელის თავდაცვის სამინსტრო.

## მაია სანდუს სურს, პრეზიდენტობაზე მეორე ვადით იყაროს კენჭი



მოლდოვის პრეზდენტმა მაია სანდუმ განაცხადა, რომ სურს, პრეზიდენტობაზე მეორე ვადით იყაროს კენჭი.

ალსანიშნავია, რომ მოლდოვა მკვეთრად პოლარიზებული რესპუბლიკაა. ევროკავშირში შესვლას მხარს უჭერს 44%, 42 %-ს კი ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება სურს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## სასიძო და საპატარძლო ერთსა და იმავე დღეს ავიაკატასტროფაში მოყვნენ და გადარჩნენ

იტალიელი სასიძო და მისი საპატარძლო ერთმანეთისგან 40 კილომეტრის დაშორებით, ერთსა და იმავე დღეს სხვადასხვა ავიაკატასტროფაში მოყვნენ და გადარჩნენ.

უბედური შემთხვევა 17 დეკემბერს პიემონტის რეგიონში მოხდა. 30 წლის სტეფანო პირილი და მისი 22 წლის შეყვარებული ანტონიეტა დემასი პილოტებთან ერთად ორი კერძო თვითმფრინავით ქალაქ ტურინიდან ქალაქ ასტიში გადაფრინდნენ, ერთმანეთთან შესახვედრად და მეგობრებთან ერთად სასადილოდ. სადილის შემდეგ ისინი ისევ ცალ-ცალკე ჩასხდნენ თვითმფრინავებში და ქალაქ სავონისკენ გაფრინდნენ ზღვის ხედებით დასატკბობად.

როდესაც ტურინში ბრუნდებოდნენ, მზიანი დღე სწრაფად შეიცვალა და ნისლი ჩამოწვა.

– როდესაც დასაფრენი ბილიკისკენ გავემართეთ, სქელ ნისლში აღმოვჩნდით. ვიცოდით, რომ ჩვენს ახლოს ელექტროსადენები მდებარეობდა, მაგრამ გონს მოსვლა ვერ მოვასწარით, მიწას ისე დავენარცხეთ და მინდორში აღმოვჩნდით, – იხსენებს პირილი, რომლის თვითმფრინავი ასაფრენ-დასაფრენი ზოლიდან 100 მეტრში ჩამოვარდა.

სასიძო თვითმფრინავის ნამსხვრევებიდან გამოძვრა და მეორე პილოტიც გამოიყვანა. ის სამაშველო სამსახურს დაუკავშირდა და მომხდარის თაობაზე აცნობა, შემდეგ კი დემასისთან დაკავშირება სცადა, მაგრამ საცოლე არ პასუხობდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა მაშველებმა გადარჩენილებს აცნობეს, რომ მათგან 40 კილომეტრში კიდევ ერთი ავიაკატასტროფა მოხდა.



– მე მათ ვკითხე, იყვნენ თუ არა იმ თვითმფრინავში კაცი და გოგონა. მათ მიპასუხეს, რომ იყვნენ, ტანში ჟრუანტელმა დამიარა, ცივმა ოფლმა დამასხა, ვინაიდან მივხვდი, რომ იმ თვითმფრინავში ანტუანიტა იმყოფებოდა, – ყვება პირილი.

ორი ავიაკატასტროფის შედეგად დემასმა და ორმა პილოტმა უმნიშვნელო დაზიანებები მიიღეს, პირილი კი უვნებლად გადარჩა. ყველა დაშავებული საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

## ხანში შესულმა ქალმა სახლში შეჭრილი შიშველი მამაკაცი ნიჩბით მოიგერია



კანადაში ხანშიშესულმა ქალმა მოიგერია შიშველი მამაკაცის თავდასხმა, რომელიც მის სახლში რკინის ჯოხით შეიარაღებული შეიჭრა.

აღნიშნული ინციდენტი ბრიტანეთის კოლუმბიის ქალაქ ვანკუვერში 19 დეკემბრის საღამოს მოხდა. 72 წლის პენსიონერი ქალი სახლში იმყოფებოდა, როდესაც იქ ალესილი რკინის ჯოხით შეიარაღებული შიშველი მამაკაცი შევარდა. როგორც პოლიციის კონსტებელმა ტანია ვისინტინმა განაცხადა, უცნობი პირი აგრესიულად იქცეოდა და პენსიონერ ქალს რკინის ჯოხი რამდენჯერმე მოუქნია.

– მან ხელი დასტაცა ნიჩაბს, რომელიც იქვე ახლოს იყო მიყუდებული, მამაკაცი სახლიდან გამოაგდო, კუთხეში მიიმწყვდია და იქამდე აკავებდა, სანამ ადგილზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მივიდოდნენ, – განაცხადა კონსტებელმა.

პენსიონერისა და მამაკაცის ორთაბრძოლისგან გამოწვეული ხმაური მეზობლებმა გაიგონეს და პოლიციას შეატყობინეს. შიშველი მამაკაცი დააკავეს და პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. ამ დრომდე უცნობია თავდასხმის მოტივები. გამომძიებლები ფიქრობენ, რომ მამაკაცს ფსიქიკური პრობლემები აქვს.

ვისინტინმა ქალს მადლობა გადაუხადა სიმამაცისთვის და აღნიშნა, რომ პენსიონერი „ძალიან მაგრად მოიქცა". თუმცა, ამავე დროს კონსტებელმა აღნიშნა, რომ ასეთ დროს უმჯობესი იქნება, თუ დამნაშავესთან დაპირისპირებას თავს აარიდებთ, უსაფრთხო ადგილს მონახავთ და პოლიციას გამოიძახებთ.

## მომვლელმა ინვალიდს ფული მოპარა და საკუთარ ფუფუნებაში დახარჯა



დიდ ბრიტანეთში ქალმა, რომელიც მომვლელად მუშაობდა, ინვალიდს 35 ათასი ფუნტ სტერლინგი მოპარა და საკუთარი ფუფუნებით ცხოვრების მოსაწყობად გამოიყენა.

უესტ-მიდლენდსის საგრაფოს ქალაქ უოლსოლის მკვიდრმა, 33 წლის სოფია სმიტმა, დანაშაული 2019-დან 2020 წლის ჩათვლით ჩაიდინა. ქალი მუშაობდა ორგანიზაციაში, რომელიც მომსახურებას შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებს უწევდა. სმიტმა კომპანიაში წელიწადნახევარი იმუშავა, მანამდე, სანამ ერთ-ერთი კლიენტისთვის ფულის მოპარვას დაიწყებდა. ის ფულს პარავდა 70 წლის ინვალიდ ქალს, რომელსაც კომპანიის კიდევ რამდენიმე თანამშრომელი უვლიდა.

კოლეგებს მის პატიოსნებაში პირველად ეჭვი მაშინ შეეპარათ, როდესაც მან თავად ითავა ინვალიდი ქალის ფინანსებზე ზრუნვა. 2020 წელს ინვალიდმა ქალმა შეიტყო, რომ სმიტის მიერ მისი ფინანსების განკარგვის შემდეგ ვალებში ჩავარდა. მისთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ მომვლელმა მის სახელზე მეორე საბანკო ანგარიში გახსნა.

მალე სმიტი დააკავეს და დაკითხეს. მან აღიარა, რომ ქალის თანხები მიითვისა, ასევე კრედიტები გააფორმა მის სახელზე. ის ამტკიცებდა, რომ „ვიღაც ხალხს" დაუკავშირდა და ვალებში ჩავარდა და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა დანაშაულის ჩადენა. საერთო ჯამში მან ინვალიდს 35 ათასამდე ფუნტ სტერლინგი მოპარა.

გამოძიების შედეგად გაირკვა, რომ სმიტმა ინვალიდისთვის მოპარული ფული საკუთარი საჭიროებებისთვის გამოიყენა. უკვეთავდა კერძებს, ყიდულობდა ძვირფას ტანსაცმელს, მათ შორის არმანის ბრენდის ძვირფასი სპორტული კოსტიუმი. გარდა ამისა, ქალისთვის მოპარული ფულით მოიწყო დასვენება, შეიძინა ტექნიკა და სხვა ნივთები.

სასამართლომ სმიტს თაღლითობაში დასდო ბრალი, სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით და ორი წლით პატიმრობა მიუსაჯა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

### საზოგადოება

## ცოტნე ზედგინიძემ ბრიუსელში სოლო კონცერტი გამართა



ფესტივალზე „ევროპალია-საქართველო" ბრიუსელში, ნატიფი ხელოვნების ცენტრ „ბოზარში" ცოტნე ზედგინიძის სოლო კონცერტი გაიმართა. ნიჭიერმა მუსიკოსმა შუბერტის ექსპრომტები და საკუთარი კომპოზიციები შეასრულა. კონცერტის შემდეგ იგი ახალგაზრდა მუსიკოსებს, სამუსიკო სკოლის მოსწავლეებსა და კლასიკური მუსიკის ერთგულ მსმენელს შეხვდა და ისაუბრა თავისი შემოქმედებისა და, ზოგადად, მუსიკის შესახებ. კონცერტმა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ცოტნე ზედგინიძეს ჩვენი დროის დიდმა მუსიკოსებმა დანიელ ბარენბოიმმა, იორგ ვიდმანმა და გია ყანჩელმა საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეულად ნიჭიერი და იმედის მომცემი მუსიკოსი უწოდეს.

სოლო კონცერტემდე ცოტნემ ჰოლანდიის ქალაქ ჰააგაში, ჰააგის სამეფო კონსერვატორიის „ამარეს" ორგანიზებით, ახალ ეკლესიაში სანდრო გეგეჭკორთან ერთად დაუკრა. ნიდერლანდების სამეფოში სანდრო გეგეჭკორს იცნობენ სატელევიზიო გადაცემა „პოდიუმ კლასიეკზე" და „კონცერტგებაუში" შესრულებული ნაწარმოებებით, ცოტნესთვის კი ეს ამ ქვეყანაში პირველი კონცერტი იყო.

ფესტივალი „ევროპალია-საქართველო" ოქტომბერში დაიწყო და თებერვალში დასრულდება. ქართული კულტურა ბელგიასა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში 60-მდე მასშტაბური და მრავალფეროვანი ღონისძიებით იქნება წარმოდგენილი. ევროპულ საზოგადოებას 4 თვის განმავლობაში შესაძლებლობა აქვს, დაათვალიეროს ეროვნული საგანძურის 2 მასშტაბური და ისტორიული მნიშვნელობის გამოფენა: „ავანგარდი საქართველოში – 1900-1936" და „საქართველო – შეხვედრების ადგილი".

„ევროპალია-საქართველოს" ფარგლებში გამართულ ღონისძიებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის საზოგადოებისთვის გაცნობისა და ევროინტეგრაციის ხელშეწყობისთვის.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

### სპორტი

## საქართველოს ყინულის ჰოკეის ნაკრები ერთი დივიზიონით დააქვეითეს



წელს საქართველოს ჰოკეის ნაკრები მეორე დივიზიონის ა ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა. გუნდმა ოთხი მატჩი მოიგო და მხოლოდ ერთი წააგო ესპანეთთან, რომელიც ზედა დივიზიონში ალზევდა.

ჩვენებს, აპრილში ისევ მეორე დივიზიონის ა ჯგუფში უნდა ეთამაშა, დასაწინაურებლად უნდა ებრძოლა, მაგრამ ნაჩვენები შედეგი გაუქმებულად ჩაეთვალა და იგივე დივიზიონში ასპარეზობის ნაცვლად, 2024 წელს თამაში ერთი დივიზიონით დაბლა მოუწევს.

ჰოკეის ნაკრებს თითქმის იგივე პრობლემა შეემთხვა, რაც საქართველოს ფუტსალის ნაკრებს – ნატურალიზებულ მოთამაშეთა გადაჭარბებული რაოდენობის გამოყენება.

შედეგად, ჩვენი გუნდი რანგით დაბალ ლიგაში ითამაშებს და 22-28 აპრილს ბელგიას, ბულგარეთს, ახალი ზელანდიას, თურქეთსა და ჩინეთის ტაიპეის გაეჯიბრება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**


## განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების გან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# თსუ ზამთრის ჩემპიონია

**ბათუმი-თსუ 82:91 (ოტ)**
**(23:20; 15:14; 18:14; 20:28; 6:15)**

სუპერლიგის პირველი წრის გამარჯვებული, ანუ ზამთრის ჩემპიონი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდია. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა უნივერსიტეტელებმა მე-11 ტურში ბათუმში ადგილობრივი გუნდი ოვერტაიმში დამარცხეს და პირველი წრის ბოლომდე მიუწვდომლები გახდნენ. თსუ-მ დარჩენილი, გამოტოვებული მატჩი გორის ივერიონთან რომც წააგოს, ახალ წელს მაინც პირველ ადგილზე შეხვდება.

ოვერტაიმში გამარჯვება თავისთავად მიანიშნებს, რომ თამაში დაძაბული იყო, თუმცა, ეს გახლდათ მატჩი, რომლის დარი სცენარი საქართველოს ჩემპიონატში ალბათ ხელის თითებზე ჩამოსათვლელად თუ გათამაშდებოდა. თავად განსაჯეთ: ძირითადი დროის დასრულებამდე 1 წუთი რჩებოდა, ბათუმი 7 ქულას (75:68) იგებდა და გუნდის ლიდერი, რევაზ როგავა საჯარიმოს ხაზზე იდგა. ბათუმელ გამთამაშებელს ორივე სროლა რომ ჩაეგდო, ყველაფერს წერტილს დაუსვამდა, მაგრამ ორივე ააცილა და ამაში საგანგაშო თითქოს არც არაფერი იყო, მაგრამ ...

თსუ-ს ამერიკელმა ლეგიონერმა, კამერონ კრენსტონმა, რომელსაც მანამდე ოთხივე სამიანი აცილებული ჰქონდა, სწრაფი სამქულიანი ჩააგდო და ჩამორჩენა 4 ქულამდე შეამცირა. ბათუმელთა მწვრთნელმა ბუბა ბერიშვილმა წუთშესვენება აიღო და თავისიანებს დავალება მისცა, რომელიც კალათბურთელებმა ვერ შეასრულეს. უფრო ზუსტად, ოთარ ბულიავა ბურთს ვერ გაუფრთხილდა, ჩაჩანიძეს გაუმართლებელი, მოედნის ერთი მხარიდან მეორე მხარეზე გრძელი პასი გადააწოდა, მაგრამ ძალის მოზომვა არ გამოუვიდა და ბურთი ხაზს გარეთ გადავიდა.

თსუ-მ შეუტია, ტაირი ბოიკინმა პერიმეტრზე ჩასაფრებული კრენსტონი მოძებნა, რომელმაც მეოთხე პერიოდის დასრულებამდე 35 წამით ადრე მორიგი ზუსტი სამქულიანით ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა – 74:75. თბილისელთა მჭიდრო დაცვის ფონზე ბათუმელები აიჭრნენ, ბურთის გაკონტროლება და შეტევის ორგანიზება უჭირდათ, მაგრამ მხსნელად ჯარიმა მოევლინათ. რევაზ ჩაჩანიძემ პირველი სროლა ააცილა, მეორე ჩააგდო და ბათუმი 2 ქულით გალიდერდა, რაც ცივსისხლიანი სროლით გააბათილა ტაირი ბოიკინმა, რომელმაც საჯარიმოს ხაზსა და სამქულიანი ნიშნულს შორიდან ზუსტად ესროლა – 76:76. ბათუმს მოსაგებად ბოლო შეტევაში 1 ქულაც ჰყოფნიდა, მაგრამ ლუკა კალატოზიშვილმა საჯარიმოში ბურთი დაკარგა და ძირითადი დრო ფრედ დასრულდა.

დიდი ლიდერობის განიავებამ გუნდი ფსიქოლოგიურად გატეხა, რომ იტყვიან, ბათუმზეა ნათქვამი. ოვერტაიმში მასპინძლებს შანსი აღარ ჰქონიათ: თსუ-მ პირწმინდად დაჯაბნა ზღვისპირელები და საბოლოოდ 9 ქულით – 91:82 გაიმარჯვა. და ეს ყველაფერი თსუ-მ მოახერხა 2 მთავარი ლიდერის – გიორგი ცინცაძისა და კახა ჯინჭარაძის გარეშე, რომლებიც ტრავმების გამო თბილისში დარჩნენ.

მატჩის გმირი არა ძირითადის ბოლო წუთზე 2 სამიანის ჩამგდები კრენსტონი, არა 25 ქულისა და 14 მოხსნის მომგროვებელი ალექსანდრე ფევაძე, ან რომელიმე თსუ-ელი, არამედ ბათუმურ მატჩში მონაწილე უნივერსიტეტის გუნდის თითოეული წევრია, რომლებიც წამყვანი კალათბურთელების გარეშე მთელი მატჩის განმავლობაში აგებდნენ, მაგრამ თამაში ბოლო ერთ წუთში, ერთიანი ძალებით შემოატრიალეს.

სტატისტიკური ლიდერი ფევაძე გახლდათ, რომელმაც 25 ქულასა და 14 მოხსნასთან ერთად 6 პასი, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა; ტაირი ბოიკინმა 21 ქულა დააგროვა; ნიკა ჩეჩელაშვილის ანგარიშზე 11 ქულა დაგროვდა; ბათუმში რევაზ როგავა იყო საუკეთესო, რომელმაც 26 ქულით კი მიითვალა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჯარიმოს ხაზიდან არ გაუმართლა; 20 ქულა და 10 მოხსნა ჰქონდა კალატოზიშვილს.

**კავკასია-გაუ 66:98**
**(16:19; 8:29; 22:28; 20:22)**

კავკასიის საერთაშორისო და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის გუნდების სტუდენტური დერბი ვერ გამოდგა დაძაბული. გაუ-მ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა – 98:66.

კავკასია გასული სეზონის ბრინჯაოს მედალოსანია, მაგრამ მიმდინარე სეზონში ჩავარდნა აქვს. გუნდმა 3 წაგებით დაიწყო და მართალია, შემდეგ 4 გამარჯვება მოიპოვა, პირველი წრის ბოლო აკორდი არასახარბიელო გამოდგა. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, გაუ-ს კარგი თამაშია. თავის მხრივ, ქართულ-ამერიკულ გუნდს საზეიმოდ აქვს საქმე. მიუხედავად ერთ-ერთი ლიდერის, ეროვნული ნაკრების წევრ ლუკა ლიკლიკაძის ტრავმის გამო გამოკლებისა, დავით როგავას გაწვრთნილმა გუნდმა კარგი სტარტის შემდეგ კიდევ არაერთი თამაში მოიგო და წრეს მაჟორულ ნოტაზე ხურავს.

6 გამარჯვება და 4 მარცხი – ახალგაზრდა ქართველებით როგავას გუნდმა საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა. განსაკუთრებით დამაჯერებელი გამარჯვება სწორედ კავკასიასთან იყო, რომლის ბედიც პირველ ნახევარში გადაწყდა. მეტ-ნაკლებად თანაბარი პირველი პერიოდის შემდეგ, მეორე ათწუთეული ცალფარა გამოდგა. თევის სმიტის წინამძღოლობით გაუ-მ სოლიდური გარღვევა მოაწყო და დიდი შესვენებისთვის ორმაგი იმდენი ქულით იგებდა, რამდენიც კავკასიას მთლიანად ჰქონდა მოგროვებული – 48:24.



ამ თამაშის გამარჯვებამდე მიყვანას დიდი ძალისხმევაც არ სჭირდებოდა, მით უმეტეს, როცა მეტოქეს სროლები არ მისდიოდა. თავად განსაჯეთ: კავკასიელებმა 26 ცდიდან მხოლოდ 2 სამქულიანი ჩააგდეს და ამ მრუდე მაჩვენებლის ფონზე გაუ-ს 32-ქულიანი გამარჯვება ლოგიკური ჩანს.

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის გუნდში 25 ქულით ბომბარდირი თევის სმიტი გახდა; 18 ქულა და 8 მოხსნა დააგროვა აიზია სმოლმა; 15 ქულა, 7 პასი და 5 მოხსნა ენდრიუ ლუისის ანგარიშზე დაგროვდა; კავკასიელთაგან 14 ქულით, 6 პასითა და 4 მოხსნით საუკეთესო იყო გრეგ ფარჰემი.

**ივერიონი-მარგვეთი 69:80**
**(25:15; 6:25; 15:12; 23:28)**

ივერიონმა გორში სუპერლიგის აუტსაიდერ ზესტაფონის მარგვეთს უმასპინძლა და 69:80 დამარცხდა. გამარჯვება ორივე გუნდს ძალიან სჭირდებოდა, მაგრამ უფრო მოტივირებული ზესტაფონელები იყვნენ, რომლებსაც მიმდინარე სუპერლიგაში ყველაზე ცოტა – 2 გამარჯვება ჰქონდათ მოპოვებული.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა მარგვეთმა ამ გამარჯვებით ხასიათი გამოიკეთა და ოპტიმისტურად განაწყო. მეორე წრიდან დაგეგმილია, რომ მარგვეთი საშინაო მატჩებს ზესტაფონში უმასპინძლებს და ჩერქეზიშვილის გაწვრთნილ გუნდს, ცხადია, მხურვალე ქომაგობაც არ მოაკლდება, რაც დამატებითი სტიმული და მოტივაცია იქნება.

რაც შეეხება გორში გამართულ მატჩს, იგი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და პირველი პერიოდის შემდეგ დარბაზში მისული ქომაგებიც ოპტიმისტურად განეწყვნენ. 25:15 დაწინაურებული ივერიონი ხელსაყრელ სიტუაციაში იმყოფებოდა, მაგრამ სწორედ შერჩეული ტაქტიკით, ცალკე საკალათბურთო ფორტუნის წყალობით, მარგვეთმა მეორე ათწუთეულში თამაშზე სრული კონტროლი დაამყარა. ზესტაფონელებს მთავარ მექულედ მაიკლ მეისი ჰყავდათ, რომელიც შორი სროლებითაა განთქმული, მაგრამ ამჯერად მხოლოდ 2 სამქულიანი ჩააგდო. სამაგიეროდ, საჯარიმო ხაზზე იყო ჩაღა, საიდანაც 10-დან ყველა სროლა ჩააგდო.

მარგვეთმა მეორე პერიოდი 25:6 მოიგო და 10-ქულიანი ჩამორჩენა 9-ქულიან ლიდერობად აქცია. ამის შემდეგ გორელებმა არაერთ გზას მიმართეს, რათა ვითარება გამოესწორებინათ, მაგრამ გამართულად მოთამაშე ზესტაფონელებს ეფექტური ვერაფერი დაუპირისპირეს და ჩერქეზიშვილის შეგირდებმა სუპერლიგაში მესამე გამარჯვება მიითვალეს.

მოგების მთავარი შემოქმედი მაიკლ მეისი გახლდათ, რომელმაც თავი 28 ქულას მოუყარა; 15 ქულა და 12 მოხსნა ტაიშონ კროუფორდმა დააგროვა; 16 ქულითა და 9 მოხსნით გამოირჩა მარტი ჯექსონი; გორის გუნდში 30 ქულით, 6 მოხსნითა და 5 პასით საუკეთესო იყო კვენტინ ჰარდრიქი; 15 ქულა და 12 მოხსნა გეგო ბაქრაძის ანგარიშზეა.

**ქუთაისი-რაში 112:89**
**(24:22; 36:18; 22:22; 29:27)**

ქუთაისი გამოცდილებითა და შემადგენლობით ობიექტურად აღემატება დებიუტანტ რაშს. კოტე ტულუშის გაწვრთნილ გუნდს ბევრად მეტი ტიტული და ამბიცია აქვს. თან წინა საშინაო მატჩში, ქუთაისელებმა სუპერლიგის ლიდერი თსუ დაამარცხეს და, ცხადია, დებიუტანტ რაშთან მოგებას უმიზნებდნენ.

რაშმა რაც შეეძლო, შეეწინააღმდეგა, მაგრამ მძლავრ ქუთაისს ვერაფერი გამოსტყუა. გადამწყვეტი გამოდგა მეორე მეოთხედი, რომელიც რიონისპირელებმა 38:18 მოიგეს. საბოლოოდ, კოტე ტულუშის გაწვრთნილმა გუნდმა 112:89 იმარჯვა და პირველი წრე 6 მოგებითა და 4 მარცხით დაასრულა.

**ორბი-რუსთავი 112:92**
**(23:19; 37:18; 22:33; 30:22)**

რუსთავის წაგების ობიექტური მიზეზი ერთ-ერთი ლეგიონერის, ჯორდან ჰენდერსონის არყოფნა და თავის მხრივ, ტყიბულელთა გაძლიერებული შემადგენლობა გახლდათ. ორბს ისედაც გამრჯე უცხოელები ჰყავს და პლუს ამას, ირაკლი ტომარაძის გაწვრთნილმა გუნდმა კიდევ ერთი ძლიერი მოთამაშე – მაიკლ ედვარდსი შეიმატა, რომელმაც რუსთავს 21 ქულა ჩაუგდო. რაც მთავარია, მისი მისვლის შემდეგ ორბმა ზედიზედ სამივე მატჩში გაიმარჯვა.

საბოლოოდ ორბმა რუსთავი 112:92 დაამარცხა და მოგებ-წაგებები გაითანაბრა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დელტა | 10 | 7 | 3 | 848-737 | 17 |
| 2. ქუთაისი | 10 | 6 | 4 | 940-895 | 16 |
| 3. გაუ | 10 | 6 | 4 | 915-868 | 16 |
| 4. თსუ | 9 | 7 | 2 | 765-728 | 16 |
| 5. ბათუმი | 10 | 5 | 5 | 821-826 | 15 |
| 6. ორბი | 10 | 5 | 5 | 912-912 | 15 |
| 7. რუსთავი | 10 | 4 | 6 | 900-934 | 14 |
| 8. კავკასია | 10 | 4 | 6 | 817-887 | 14 |
| 9. მარგვეთი | 10 | 3 | 7 | 859-922 | 13 |
| 10. რაში | 10 | 3 | 7 | 877-937 | 13 |
| 11. ივერიონი | 9 | 4 | 5 | 741-749 | 13 |

# ლუქსემბურგი ძლიერდება

2024 წლის 21 მარტს, საქართველოს ნაკრები ერთა ლიგის ფლეი ოფის ნახევარფინალში ლუქსემბურგს ეთამაშება. ამ წყვილში გამარჯვებული საბერძნეთსა და ყაზახეთს შორის მოგებულს შეხვდება, რათა ევროპის ჩემპიონატის მონაწილე გაარკვიონ.

სანამ ჩვენი ბარათები ვერ დავითვალეთ და ლუქსემბურგთან ხვიჩა კვარაცხელიას მოვისაკლისებთ, ლუქსემბურგელები პირიქით, გაძლიერებას გეგმავენ. ჩვენი მეტოქე პორტუგალიელი დანი მოტას ნაკრებში გამოძახებას აპირებს.

მოტა ლუქსემბურგის ქალაქ ნიდერკორნში, პორტუგალიელი ემიგრანტების ოჯახშია დაბადებული და ორმაგი მოქალაქეობა აქვს. ნათამაშები აქვს პორტუგალიის 21-წლამდე ნაკრებში და ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ვიცე-ჩემპიონი გახდა.

მოტას იუვენტუსის ახალგაზრდულ გუნდშიც უთამაშია, საიდანაც იჯარით იტალიურსავე მონცაში გაუშვეს, რომელსაც სერია ბ-ში დაწინაურებაში დაეხმარა.



# კალათბურთის ფედერაციამ წელი დადებითად შეაფასა



საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წლის შემაჯამებელი ყრილობა გაიმართა. ფედერაციის პრეზიდენტმა, ვიქტორ სანიკიძემ განვლილი წლის განმავლობაში გაწეულ სამუშაოზე ისაუბრა და ის წარმატებები შეაჯამა, რომლებსაც ჩვენმა ეროვნულმა და ასაკობრივმა ნაკრებებმა საერთაშორისო ასპარეზზე მიაღწიეს.

„ქორთიარდ მერიოტში" გამართულ ყრილობას ფედერაციის წევრი სუბიექტების – სუპერლიგისა და ა ლიგის კლუბების, საკალათბურთო სკოლების, კავშირების და რეგიონული ფედერაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. არსებული დელეგატების აბსოლუტურ უმრავლესობასა და მოწვეულ სტუმრებს – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ოლიმპიური კომიტეტის, ფედერაციის სპონსორების წარმომადგენლებს ვიქტორ სანიკიძემ ყველა ის პროექტი წარუდგინა, რომლებსაც კალათბურთის ფედერაცია ახორციელებს. პრეზიდენტმა ისაუბრა ასაკობრივ ჩემპიონატებში მონაწილეებისა და მატჩების ზრდაზე, ბავშვთა კალათბურთში მასობრიობის მატებაზე, მსაჯთა კორპუსის საერთაშორისო წარმატებებზე და, რაღა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონატის ა დივიზიონში გადასულ 16-წლამდე ნაკრებსა და ეროვნულ გუნდზე, რომელიც ისტორიაში პირველად მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდა და ჯგუფური ეტაპის დაძლევა მოახერხა – პლანეტის 16 საუკეთესო ნაკრებში მოხვდა. ამით ჩვენმა ნაკრებმა პარიზის 2024 წლის ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობის უფლება მიიღო, რომელიც 2-7 ივლისს ლატვიის დედაქალაქ რიგაში გაიმართება.

დამსწრე დელეგატებმა ფედერაციის მიერ განვლილ წელს გაწეული სამუშაო დადებითად შეაფასეს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# შედეგები

**24 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვულვზი-ჩელსი ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 18 | 12 | 4 | 2 | 36-16 | 40 |
| 2.ლივერპული | 18 | 11 | 6 | 1 | 37-16 | 39 |
| 3.ასტონ ვილა | 18 | 12 | 3 | 3 | 38-22 | 39 |
| 4.ტოტენჰემი | 18 | 11 | 3 | 4 | 37-24 | 36 |
| 5.სიტი | 17 | 10 | 4 | 3 | 40-20 | 34 |
| 6.ვესტ ჰემი | 18 | 9 | 3 | 6 | 31-30 | 30 |
| 7.ნიუკასლი | 18 | 9 | 2 | 7 | 36-22 | 29 |
| 8.მანჩესტერი | 18 | 9 | 1 | 8 | 18-23 | 28 |
| 9.ბრაიტონი | 18 | 7 | 6 | 5 | 34-31 | 27 |
| 10.ბორნმუთი | 18 | 6 | 5 | 7 | 25-33 | 23 |
| 11.ჩელსი | 18 | 6 | 4 | 8 | 29-28 | 22 |
| 12.ვულვზი | 18 | 6 | 4 | 8 | 23-30 | 22 |
| 13.ფულემი | 18 | 6 | 3 | 9 | 26-31 | 21 |
| 14.ბრენტფორდი | 17 | 5 | 4 | 8 | 24-24 | 19 |
| 15.კრ.პალასი | 18 | 4 | 6 | 8 | 18-26 | 18 |
| 16.ევერტონი | 18 | 8 | 2 | 8 | 23-22 | 16 |
| 17.ნოტინგემი | 18 | 3 | 5 | 10 | 19-33 | 14 |
| 18.ლუტონი | 18 | 3 | 4 | 11 | 19-33 | 13 |
| 19.ბარნლი | 18 | 3 | 2 | 13 | 18-36 | 11 |
| 20.შეფილდი | 18 | 2 | 3 | 13 | 13-44 | 9 |

შენიშვნა: ევერტონს დაკლებული აქვს 10 ქულა

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქონია-ქაისერი ............ 2:0
ადანა-ანთალია ............ 2:1
ფენერბახჩე-გალათასარაი ............ 0:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

მოზერველი-რეინჯერსი ............ 0:2

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. აშშ-ის პრეზიდენტი; 2. რეგიონი კახეთში; 3. სწორი ნაწლავის ლორწოვანი გარსის ანთება; 4. უკიდურესი გადამწყვეტი მოქმედების მომხრე ადამიანი; 7. ხვლიკის მსგავსი ცხოველი, რომელიც კანის ფერს იცვლის გარემო პირობების შესაბამისად; 8. კოსმოდრომი რუსეთში; 12. სახელმწიფო ევროპაში; 14. ნათურების წარმოებაში გამოყენებული ძნელად დნობადი ქიმიური ელემენტი, მეტალი; 16. ვეტერინარის ძველი სახელწოდება; 17. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 19. ერთ-ერთი კონტინენტი; 20. ბებერი თხა.

**თარაზულად:** 5. ვენესუელას დედაქალაქი; 6. საეკლესიო წესით ქორწინება; 9. შაქრის წარმოების ნარჩენი, სქელი შავი სითხე; 10. მცენარის ნორჩი ტოტი; 11. პლასტიკურ და რიტმულ მოძრაობათა ხელოვნება; 13. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 15. პოპულარული სამაგიდო თამაში; 18. მამაკაცის ტანსაცმლის მკერავი ძველად საქართველოში; 21. უკიდურესი გატაცება რაიმე საქმით, იდეით; 22. ნელი, ზომიერი მუსიკალური ტემპი; 23. ევროპის ჩემპიონი ქართველი მოფარიკავე ქალი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბერსეზი; 2. ჯაკო; 3. ჰეკლა; 4. ალგეთი; 6. ნუცუბიძე; 9. რეგატა; 13. როიტერი; 14. ვალონია; 15. მადერა; 17. სტუკო; 18. მამნე; 20. თული.

**თარაზულად:** 1. ბაჯაღლო; 5. ალენი; 7. ფერხული; 8. როკფორი; 10. ოკაცე; 11. ლაკმე; 12. ლოგიკა; 16. თავაძე; 17. სარმა; 19. იონი; 21. ჰეგელი; 22. ოკეანე; 23. დარიკი; 24. ჯაგერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. იორდანე; 2. სადაფი; 3. ჭორიკანა; 4. ჯავახეთი; 7. ტაქსაფონი; 8. პავაროტი; 12. ჰონორარი; 14. დანსინგი; 16. ბოჰემია; 17. არჩვაძე; 19. კუბა; 20. ჯანი.

**თარაზულად:** 5. პოტენცია; 6. აპოსტასია; 9. მადონა; 10. ფრანკი; 11. ზვარე; 13. ვოლგა; 15. სალამო; 18. ჯოისი; 21. ინანთეული; 22. მუშამბა; 23. იავნანა.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

26 დეკემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.6905 |
| ევრო | — 2.9636 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 3.4156 |
| 100 რუსული რუბლი | — 2.9143 |

## ამინდის პროგნოზი 26 დეკემბრისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბაიერნი არაუხოს ტრანსფერში 100 მილიონს იხდის



მიუნხენის ბაიერნი მზად არის, სერხიო არაუხოს ტრანსფერში 100 მილიონი გადაიხადოს და მათთვის ეს რეკორდული თანხა იქნება, რადგან ბაიერნს ამდენი არცერთ ტრანსფერში არ გადაუხდია.

ბარსელონა, ჯერჯერობით, უარს ამბობს, თუმცა, შესაძლოა, მათ გადაიფიქრონ, რადგან კატალონიურ გუნდს ფული სჭირდება და მათ ფინანსური სირთულეები აქვთ. არაუხომ თქვა, რომ მას ბარსელონას დატოვება არ სურს და ის ამ გუნდში ძალიან ბედნიერია.

## ჟოზე მოურინიო: „მე-5 წუთზე მივხვდი, რომ ნაპოლის მოვუგებდით"



რომას მთავარმა მწვრთნელმა, ლეგენდარულმა ჟოზე მოურინიომ ნაპოლისთან შეხვედრა შეაფასა და თქვა, რომ ის თამაშის დაწყებიდან მალე მიხვდა, რომ რომა მოიგებდა:

– როდესაც თამაში დაიწყო, უკვე მე-5 წუთზე მივხვდი, რომ მოვიგებდით, რადგან ნაპოლის ორთაბრძოლებს ვუგებდით და მათზე აგრესიულები ვიყავით, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურად ისინი ჩვენზე უკეთესები არიან. ვფიქრობ, რომ გამარჯვება დავიმსახურეთ და მეტოქეზე ეფექტურები ვიყავით.

## ვინიციუს ჯუნიორი: „თამაში ძალიან მომენატრა"



მადრიდის რეალის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა ვინიციუს ჯუნიორმა, რომელიც უკვე თვეზე მეტია არ თამაშობს, თქვა, რომ მას ძალიან მოენატრა მოედანზე გამოსვლა და ეცდება, რომ ტრავმა მალე მოიშუშოს:

– მინდა, რომ მოედანზე მალე დავბრუნდე და ვგრძნობ, რომ ამასთან ახლოს ვარ, თუმცა, ჯერ კიდევ მაქვს სამუშაო იმაზე, რომ ტრავმა ბოლომდე მოვიშუშო. ვიცი, რომ გუნდს ვჭირდები და გარისკვა არ შეიძლება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## გიორგი კეკელიძემ ხვიჩა კვარაცხელიაზე დაწერილი წიგნი იტალიაში წარადგინა




მწერალმა გიორგი კეკელიძემ ფეხბურთელ ხვიჩა კვარაცხელიაზე დაწერილი წიგნი „კვარას საქართველო" იტალიაში წარადგინა. პრეზენტაცია ნეაპოლში მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს უნივერსიტეტში „ფედერიკო მეორეში" გაიმართა.

– გამოვიდა წიგნი, რომელსაც, ზუსტად ვიცი, არ ექნება მეორე რიგის როლი იტალიელებისთვის საქართველოს გასაცნობად. ამას დიდი მედიამხარდაჭერა და მოქალაქეების ინტერესი განაპირობებს, წინასიტყვაობის ავტორი კი, აკა მორჩილაძესთან ერთად, დიეგო მარადონა უმცროსია. საქართველოში ეს წიგნი შეიყვარა ბევრმა და უმცირესი გაღიზიანდა. მათგან კიდევ უფრო მცირე ნაწილს უკვე ვუპასუხე შესაბამისად, ხოლო მეორე, შედარებით უფრო კეთილგონიერს ახლა ვუპასუხებ და ამით დავასრულებ თემის ამ ნაწილზე საუბარს.

ხვიჩას შევხვდი მხოლოდ ერთხელ, როცა წარმატებული სტუდენტები წავიყვანეთ ნეაპოლში და მას მერე არც მე და არც მას არავითარი კონტაქტი არ გვქონია, მათ შორის, არც სატელეფონო. ორივე საკუთარ საქმეებს ვაკეთებდით და ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. წიგნის წერისას სხვადასხვა საინტერესო ისტორიის შეშველებით მეხმარებოდნენ ბატონი ბადრი და ქალბატონი მაკა, ხვიჩას მშობლები, რომლებიც არიან კიდეც ამ წიგნის კონსულტანტები.

ქილიკი, რომ ამ სეზონში ხვიჩა საკუთარი თავის აჩრდილია და წიგნი მასზე ნაადრევია, არსით არის აბსურდული და დიდწილად, დიდხნიანი ჩასაფრების შემდეგ, ვითომ ობიექტური შეფასება გახლავთ:

1) ხვიჩა კვარაცხელია შეიძლება, შარშანდელი ფორმისაგან შორს არის, მაგრამ ეს კლუბში დიდი ცვლილებების გამო უფროა და მეორეც – ნებისმიერი ფეხბურთელის კარიერა გულისხმობს გარდაუვალ ზიგ-ზაგს.

2) შეფასება, მით უფრო სამწერლო, კალენდალური ამბავი არ არის – ხვიჩამ იმ ერთი სეზონით უკვე ფუნდამენტური საქმე გააკეთა, ქართველ ბავშვებს მესისა და რონალდუს მაისურებზე საკუთარი გადააცვა, სამშობლოში ფეხბურთისადმი ნიჰილიზმი გააუქმა (მერე სხვა შესანიშნავი ფეხბურთელებიც შეემატნენ), ხოლო ქართულ ემიგრაციაში სიამაყის ტალღამ გადაიარა. გადაიარა, მაგრამ ამ ტალღას სხვა საყრდენი სჭირდებოდა, რომელიც მე ვიგრძენი მაშინ, როცა ნეაპოლში, ქართული ბიბლიოთეკის გახსნაზე ჟურნალისტებმა მკითხეს – გვქონდა თუ არა კულტურა, რა განგვასხვავებდა რუსეთისგან და იყო თუ არა საქართველოში შესაბამისი საფეხბურთო ტრადიცია. ამ წიგნის მთავარი განზრახვა ეგ იყო – ხვიჩას ელჩობით, ფრაგმენტულად და ესკიზურად ფეხბურთელის წინაპრები, სოფელი, კუთხე, სამშობლო, ქართული ფეხბურთის ისტორია და სხვა ამბები გაეცნო და ამას გააკეთებს კიდეც და ხვიჩა ითამაშებს დიდ ფეხბურთს. და მასზე უკეთესი წიგნებიც დაიწერება.

დიდი მადლობა იტალიურ მედიას, უნივერსიტეტის პროფესორებს ასეთი დადებითი შეფასებისთვის.

## ნინო ჩხეიძე და ლაშა რამიშვილი ახალ გადაცემას წაიყვანენ



„გული მღერის" – ასე ჰქვია ახალ გადაცემას, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის" ეთერში ახალი წლის პირველ ღამეს გავა.

გადაცემის წამყვანები მომღერლები ნინო ჩხეიძე და ლაშა რამიშვილი იქნებიან.

ლაშა რამიშვილი:

– ჩვენი ახალი შოუ გპირდებათ, რომ ყოველ შაბათს ბედნიერების ფეიერვერკი იქნება თქვენს ოჯახებსა და თქვენს გულებში.

## ქეთი დევდარიანი მაყურებლის მადლიერია



სერიალის „ჩემი ცოლის დაქალები" სცენარისტი ქეთი დევდარიანი ათასობით მაყურებლის მადლიერია:

– ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ფრენდებო და გულშემატკივრებო, მე, რა თქმა უნდა, უმადური ადამიანი უნდა ვიყო და სამი წლის მანძილზე ბროკოლარმიღებული, რომ ის ქება, ტაში და მადლობები არ მსიამოვნებდეს, რომელსაც თქვენ ჩემი მისამართით არ იშურებთ ხოლმე, როცა სერია მოგწონთ. მეტადრე, როცა ძალიან მოგწონთ, მაგრამ ამ სერიალს ჰყავს არაჩვეულებრივი რეჟისორები, პროდიუსერები, მსახიობები, ოპერატორები, გადამღები და დამგეგმავი ჯგუფი, რომელთა გარეშეც არაფერი იქნებოდა, რომლებიც მძაფრი ქარტეხილების ქვეშ ღამეებს ათენებენ ხშირად.

ამიტომ ყოველთვის, როცა გულს გაგიხარებთ, ყველა ერთად მოგვთაგეთ ხოლმე, აი აქ: „ჩემი ცოლის დაქალები", რათა თანაბრად გადავინაწილოთ თქვენი სიყვარული და მარტო მე არ მერგოს ამხელა პატივი.

## გიორგი ფოცხიშვილი ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის წამყვანი სოლისტია



ქართველი ბალერონი გიორგი ფოცხიშვილი ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის წამყვანი სოლისტია. დასის დირექტორმა ტედ ბრანდსენმა ქართველ მოცეკვავეს ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის წამყვანი სოლისტობა მიულოცა ბალეტ „რაიმონდას" დასრულების შემდეგ, სადაც გიორგიმ მთავარი პარტია იცეკვა:

– გიორგი ფენომენალური და ქარიზმატული მოცეკვავეა, მისი ნახტომები გასაოცარია, უმაღლესი კლასის ნამუშევარია. ეს არის ხელოვანი, რომელმაც ზუსტად იცის, როგორ მონუსხოს ათასობით მაყურებელი, – განაცხადა ტედ ბრანდსენმა.

## „დღის კოდი" მაყურებელს დაემშვიდობა




საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „დღის კოდის" შემოქმედებითი ჯგუფი მაყურებელს დაემშვიდობა:

– რთულია, მაგრამ გვიწევს ამის თქმა – „დღის კოდი" აღარ გავა ეთერში. ვემშვიდობებით ჩვენს მაყურებელს. „დღის კოდის" შემოქმედებითი გუნდი მადლობას გიხდით გულშემატკივრობისთვის და იმისთვის, რომ 3 წლის განმავლობაში იყავით ჩვენთან ერთად. განსაკუთრებული მადლობა ჩვენს სტუმრებსა და ერთგულ მაყურებელს.

## სულხან-საბა ორბელიანის ძეგლის რესტავრაციაზე 390.000 ლარი დაიხარჯება



დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნადიბანში მდებარე სულხან-საბა ორბელიანის ძეგლის რებილიტაციასა და მიმდებარე ტერიტორიის კელითმოწყობაზე 390.000 ლარი დაიხარჯება.

ინფორმაცია დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ გაავრცელა:

– გვსურს, გამოვეხმაუროთ სულხან-საბა ორბელიანის ძეგლის რესტავრაციის საკითხს. აღნიშნული ძეგლი დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნადიბანში დგას და რეაბილიტაციას საჭიროებს. ამ მიზნით უკვე დაწყებულია სათანადო ღონისძიებების გატარება. მიმდინარე წელს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ სულხან-საბა ორბელიანის ძეგლის რეაბილიტაციისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი შეისყიდა. მისი ღირებულება 390.000 ლარს აღემატება. მუნიციპალიტეტის მერია ყველა შესაბამის უწყებასთან შეათანხმებს პროექტს და შესაბამისი პროცედურების განხორციელების შემდეგ, ადგილზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდება. დამატებითი ინფორმაციის სახით, გაცნობებთ, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ, სულხან-საბა ორბელიანის ძეგლის ავტორთან, ბატონ გოგი ჟღენტთან შეთანხმებით, 2021 წლის ბოლოს, ადგილზე განახორციელა პირველადი სამუშაოები, რაც დაზიანებული ფილების ჩანაცვლება-აღდგენას გულისხმობდა. კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ ჩვენთვის ძეგლის რესტავრაციის საკითხი უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. გამომდინარე აქედან, საკითხის მოგვარების მიზნით, შესაბამისი პროცედურები კვლავ ინტენსიურად გაგრძელდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ხათუნა ცხადაძე საქართველოს პენცენტრის პრეზიდენტია



მთარგმნელი ხათუნა ცხადაძე საქართველოს პენცენტრის ახალი პრეზიდენტია. ამ თანამდებობაზე იგი არჩევნების საშუალებით შეირჩა.

ხათუნა ცხადაძე ასწავლიდა ჯერ იტალიურ ენას, შემდეგ კი თანამედროვე იტალიურ ლიტერატურას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2020 წლიდან ასწავლის გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში.

ხათუნა ცხადაძეს ნათარგმნი აქვს იტალო კალვინოს, უმბერტო ეკოს, პიერ პაოლო [illegible]ოლინის, ანტონიო ტაბუკისა და სხვა იტალიელ ავტორთა ნაწარმოებები.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. უკიდურესი თავდავიწყებამდე მისული აღფრთოვანება, აღტაცება; 2. საფრანგეთის კოსმოდრომი სამხრეთ ამერიკაში; 3. გერმანიის კანცლერი; 4. მოკლე, გონებამახვილური ხალხური გამონათქვამი; 6. ქართული ხალხური ცეკვა; 9. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 13. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ურუგვაის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს" ფეხბურთელი; 15. ზიმბაბვეს დედაქალაქი; 17. შრომის სადიდებელი ქართული ხალხური სიმღერა; 18. რეგულარული შემოსავალი უძრავი ქონებიდან; 20. მატყლის სართავი პრიმიტიული ხელსაწყო.

**თარაზულად:** 1. გუტაპერჩის შემცველი სწრაფად მზარდი ჩინური ხე; 5. ლუთერანული ეკლესია; 7. ინგლისის პრემიერ-მინისტრი; 8. შაქრის შემცველი დიაბეტით დაავადებულთათვის; 10. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 11. მრავალსიმიანი ბერძნული მუსიკალური ინსტრუმენტი; 12. კუთხე საქართველოში; 16. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 17. მუსლიმურ ქვეყნებში გავრცელებული კალენდარი; 19. ქართული ფოლკლორული ანსამბლი; 21. პატარა ავსტრალიური კენგურუ; 22. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 23. მოხსენების, ლექციის მოკლედ ჩამოყალიბებული დებულებანი; 24. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**